

განათლება უსსოთში

ფინური სკოლის წარმატების საიდუმლო – დრო და თანასწორობა

ერთი წლის წინ დაგვიგზავნა ინტერვიუ მკაცრად ლაგაპიძისთან მოგვიანებით შედეგად, მაგრამ ფინური სკოლის მოდელზე საუბარი არც ერთი და არც ორი წლის შემდეგ აქტუალურს არ დაკარგავს, რადგან ფინური განათლების სისტემა, მიუხედავად იმისა, რომ გვიჩვენებს მისი უპირატესობის სწორებად იმცა და მცდელობას არ აკლავს, რომ მას გაუთანაბრდნენ, დღემდე მოწინავე პოზიციაზეა. მარია-მი ერთი სემესტრი ტურაუს უნივერსიტეტში (ფინეთი) განათლების მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამის მიმართულებით სწავლობდა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ადმინისტრირების მაგისტრი, ილიას ERASMUS+-ის გაცვლითი პროგრამის სტიპენდიანტი და გაცვლითი პროგრამის მონაწილე, თავისი გამოცდილებისა და შთაბეჭდილებების შესახებ საუბრობს და გვიჩვენებს მოსაზრებებს, თუ რითია ფინური განათლების სისტემა საბავალით.



ფინური ცხოვრება – შთაბეჭდილებებისა და ინფორმაციის ზღვა

ჩემი ფინური ცხოვრება შთაბეჭდილებების, ემოციებისა და ინფორმაციის ზღვა იყო. შემეყვარდა ფინური კულტურა, ტრადიციები და ცხოვრების წესი. გავიცანი სხვადასხვა კულტურული გამოცდილების მქონე ადამიანები. მიხარია, რომ ჩემი ცხოვრება ამ მხრივ მრავალფეროვანი გახდა. ყველაზე საინტერესო მინც ფინური განათლების სისტემის გაცნობა აღმოჩნდა. ბევრი დავდეხი მსმენოდა, თუმცა ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მომეცა ფინეთის სკოლებზე დაკვირვების საშუალება. ვესწრებოდი გაკვეთილებს, ინტერვიუებს ვიღებდი სკოლის დირექტორების, პედაგოგებისა და მოსწავლეებისგან. მივხვდი, რომ ნდობა, თავისუფლება და თანასწორობა აქცევს ფინური განათლების სისტემას საბავალითად. ფინეთის რამდენიმე სკოლაში სტუმრობისას გადავხედიე, ერთი შეხედვით ჩვეულებრივმა, ფოტოებმა ჩემი ფეისბუქსივრცე გადაატრიალა. ერთ ღამეში, დაახლოებით, 100-200 შეტყობინებას ვიღებდი პედაგოგებისგან, სკოლის დირექტორებისგან ან ზოგადი განათლებით დაინტერესებული პირებისგან. მომდიოდა წერილები ტელევიზიიდან და ონლაინ ჟურნალებიდან. მიხარია, რომ ამ ფოტოების საშუალებით გავიცანი ძალიან ბევრი ადამიანი, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემებში მუშაობენ. სკაიპით ვესაუბრებოდი უცხო ადამიანებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს და ვმსჯელობდი სხვადასხვა პრობლემებიდან გამოსავლის გზებზე. მიხარია, რომ ამ ფოტოების საშუალებით დღემდე ვიღებ ზარებსა და წერილებს.

ნარმატივის ფორმულა

ფინეთის განათლების სისტემაზე დაკვირვების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრანსფორმაცია შესაძლებელია, უბრალოდ, ეს პროცესი ითხოვს დროსა და მოთმინებას. სისტემა ასე მუშაობს, მთავრობა ენდობა სკოლებს, სკოლები ენდობიან მასწავლებლებს, მასწავლებლები – ერთმანეთს და მოსწავლეებს. სწორედ ეს ჯაჭვი ხდის ფინური განათლების სისტემას ასეთ ძლიერსა და შედეგიანს.

მნიშვნელოვანია ის, რომ პედაგოგებს აქვთ აკადემიური თავისუფლება, რაც გამოიხატება იმაში, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვას ინდივიდუალურად, თავისი შეხედულებისამებრ ახორციელებენ. ალბათ გაგინდებთ კითხვა, არსებობს თუ არა საზღვრები. განათლების ეროვნული საბჭო პასუხისმგებელია ნაციონალურ კურსულუმზე. ადგილობრივი ხელისუფლება ნაციონალური კურიკულუმის მიხედვით ადგენს ლოკალურ კურიკულუმს, რომელიც კონკრეტულ რეგიონს ერგება. აღნიშნული კურიკულუმი კი ერგება სკოლებს, მათივე საჭიროებების მიხედვით, ანუ არსებობს ეროვნული, ლოკალური (რეგიონული) და სკოლის კურიკულუმი (სადაც თითოეული სკოლა მოიაზრება).

მასწავლებლებს აქვთ აკადემიური თავისუფლება და ავტონომია, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისინი ერთმანეთისგან სწავლობენ, კურიკულუმში ცვლილებას და ცვლილების შედეგად მიღებულ შედეგებს ერთმანეთს უზიარებენ. ფინეთის მასწავლებლების 95% მასწავლებელთა გაერთიანების წევრია. მასწავლებლებს ენდობიან და სწორედ ეს არის ყველაზე ძლიერი ბერკეტი, რაც მათი მოტივაციის შენარჩუნებას უწყობს ხელს.

მასწავლებლების მსგავსად, მოსწავლეებსაც აქვთ აკადემიური თავისუფლება. მათ შეუძლიათ იმ პროექტზე იმუშაონ, რომელზეც მოესურვებათ. როგორც წესი, აქვთ 3-4 არჩევანი. პროექტები, თემატიკის მიხედვით, განსხვავებულია. ისინი ირჩევენ იმას, რომელიც მათთვის ყველაზე მეტად საინტერესოა. მათი თავისუფლება გამოიხატება საგნების არჩევის თავისუფლებაშიც. VI-VII კლასიდან მათ საშუალება აქვთ აირჩიონ დამატებითი საგნები, ისეთები, როგორცაა ხატვა, ძეგლვა, ჩარხვა, კულინარია და ა.შ.

სკოლებში არსებობს კარიერის დაგეგმვის ცენტრიც, რომელიც მოსწავლეებს მომავალი პროფესიის არჩევაში ეხმარება.

რება. სუპერვიზორები ეხმარებიან მოსწავლეებს საკუთარი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების (და არა სუსტი) აღმოჩენაში.

ძალიან მხიბლავს ის ფაქტი, რომ ფინური სკოლა ორიენტირებულია არა საგნის სწავლაზე, არამედ იმაზე, მოსწავლეს გაუჩინოს განცდა, რომ ის კარგად სწავლობს და ნიჭიერია. ერთ-ერთი პედაგოგი, მიკა ვირკალა მეუბნებოდა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს უნერგავენ იდეას, რომ ყველა მათგანს აქვს სწავლის შესაძლებლობა, პედაგოგი კი სწორედ ამ მიზნის მიღწევაში ეხმარება. მათ შეუძლიათ დაუშვან ბევრი შეცდომა და კვლავ იყვნენ კარგი მოსწავლეები. პროცესი ხომ შეცდომების დაშვებაზეა აგებული. იგი ამბობდა, რომ მისი მთავარი ბერკეტი პოზიტიური უუკავშირია, რაც მოსწავლეს უფრო მოტივირებულს ხდის.

თანასწორობა

ფინეთის სკოლების მოსწავლეები რასობრივად განსხვავებული არიან, თუმცა მულტიკულტურული გარემო, რა თქმა უნდა, არანაირ წინაპირობას არ ქმნის. ფინელი მოსწავლე ისეთივე უფლებებით სარგებლობს და მის მიმართ ისეთივე დამოკიდებულება აქვთ გარემომცვეებს, როგორც იაპონელი, ერაყელი ან ნიგერიელი მოსწავლის მიმართ. სკოლაში ყველა პროცესი ძალიან გამჭვირვალეა და ყველას შეუძლია სკოლით სარგებლობა, რაც 1960 წლამდე შეუძლებელი იყო. არსებობს იშვიათი გამოწვევის, როდესაც მშობლები სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებენ სკოლას. ეს მოთხოვნები მათი რელიგიიდან თუ კულტურიდან გამომდინარეობს. ყოფილა შემთხვევა, როდესაც მუსულმან მშობლებს მოუთხოვიათ, რომ მათი გოგონა არ დაესვათ ბიჭის გვერდით. ამ შემთხვევაში მასწავლებლები, დირექტორი და ფსიქოლოგები ერთვებიან პროცესში და მშობლებთან ერთად პრობლემის გადაჭრის გზებზე ფიქრობენ.

ფინელი მოზაღვლის

სკოლის არჩევა თანასწორი არ არის

ფინეთში სკოლების მხოლოდ 3%-ია კერძო, დანარჩენი საჯაროა და მიუხედავად იმისა, ქალაქისა თუ რეგიონის, ყველა თანაბარია. იქ „კარგი ან ცუდი სკოლის“ ცნებაც კი არ არსებობს, კვალიფიკაციით პერსონალიც იდენტურია. აქედან გამომდინარე, ფინელი მშობლისთვის სკოლის არჩევა თავსატეხი არ არის, რადგან ზუსტად იცის, რომ მის შვილს ყველა ერთნაირ ხარისხზე გაიყვანს.

ამას ემატება ერთი მნიშვნელოვანი დეტალიც – ყოველ მოსახლეს, მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 კილომეტრის რადიუსში, ფუნქციონირებს ერთი სკოლა. ამიტომაც მშობლებს შეუძლიათ, შვილი მიიყვანონ სკოლაში, რომელიც სახლისგან მოშორებით მდებარეობს, ამის სურვილიც არ უნდადებოთ, რადგან ამაში არანაირი ინტერესი არ დევს – ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ფინეთში ყველა სკოლა ერთნაირია.

კვალიფიკაციის გარანტი

ყველა მასწავლებელს მაგისტრის ხარისხი აქვს, ამიტომაც მისი შეფასების სხვა მექანიზმი აღარ არსებობს. თუ პედაგოგს ფინეთში აქვს დამთავრებული მაგისტრატურა, ეს მისი კვალიფიკაციის გარანტია. თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ ევროპული ან სხვა ქვეყანაში მიღებული განათლების მქონე ადამიანს არ შეუძლია ფინურ სკოლაში მუშაობა. უბრალოდ, ფინეთში განათლებამიღებული პედაგოგები მეტი ნდობით სარგებლობენ. მასწავლებელი დღეში 4 საათი მუშაობს, ამ დროში შედის ის პერიოდები, რომელიც პედაგოგს შემდეგი დღის გაკვეთილების მოსამზადებლად სჭირდება. მაგალითად, მან შეიძლება დღეში 3 საათი გაკვეთილების ჩატარებას მოახმაროს და ერთი საათი მომზადებას დაუთმოს. ამის გარდა, ყველა პედაგოგი ატარებს საკონსულტაციო შეხვედრას, რომელიც იმის მიხედვით ანაზღაურდება, რამდენ დროსაც დაუთმობს მას პედაგოგი. არ არსებობს სამსახური, რომელიც მასწავლებელს შეუძლია ჩატარებული საათების ხანგრძლივობას ან ნამდვილად ჩატარა თუ არა საკონსულტაციო შეხვედრა. იმდენად ენდობიან

პედაგოგებს, რომ ისინი თავად აწვდიან ინფორმაციას, რა დრო დაუთმეს კონკრეტულ მოსწავლესა თუ მოსწავლეებს.

სკოლაში ძირითადი პირობები მოსწავლეს

მოსწავლეები ძალიან ლაღები და აქტიურები არიან, რაც მთავარია, მათზე ორიენტირებული ყველაფერი – გარემოც და მასწავლებელიც. სკოლაში ძირითადი პირობები მოსწავლესა და მის საჭიროებებზეა მორგებული დირექტორიც და მასწავლებელიც. თუ მოსწავლეს, მაგალითად, უჭირს კონკრეტული მასალის ათვისება, პრობლემის მოგვარებაში არა მარტო მასწავლებლები, არამედ ფსიქოლოგებიც ერთვებიან და, თავისთავად, დირექტორიც. ფსიქოლოგი ყველა სკოლას ჰყავს, ამის გარდა სკოლაში ფუნქციონირებს „მოსწავლეთა მხარდაჭერი ცენტრი“, რომელიც კონსულტირებას უწევს მოსწავლეებს როგორც სასწავლო პროცესში, ისე პირადი პრობლემების მოგვარების მხრივაც. მაგალითად, თუ რომელიმე მოსწავლეს აქვს პრობლემა ოჯახში, მეგობრებთან ან შეყვარებულთან, მხარდაჭერი ცენტრი მოსწავლეებს ამ პრობლემების მოგვარებაში ეხმარება.

სკოლაში მოსწავლეებისთვის განკუთვნილია ცალკე დასასვენებელი ოთახი – სივრცე, სადაც ისინი თავისუფალ დროს ატარებენ და შეუძლიათ ნებისმიერი რამის კეთება.

მე-7 კლასამდე მოსწავლეს საშინაო დავალებას არ აძლევენ, ჯგუფური სამუშაოების დროს კლასშივე წერენ დავალებებს. სახლში ადმინისტრაციული ტიპის დავალებებს უფრო აძლევენ, მაგალითად, პროექტის დაგეგმვას, ვიდრე ისეთი ტიპის, რომელსაც ამოხსნა სჭირდება – მათემატიკის ამოცანა და ა.შ. ასეთი აქტივობა, ძირითადად, პედაგოგების ზედამხედველობის ქვეშ ხდება.

გაკვეთილზე პედაგოგების რაოდენობა განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ როგორია კლასში მოსწავლეთა რაოდენობა. მაგალითად, 20-მოსწავლიან კლასში სამი პედაგოგი ჰყავდა – ერთი ძირითადი და ორი დამხმარე. ბავშვების მაქსიმალური რაოდენობა 25-ია, ძირითადად, ერთ კლასში 15-დან 20-მდე მოსწავლეა. ამიტომ თითოეულ გაკვეთილზე, მინიმუმ, ორი პედაგოგი, მაქსიმუმ – სამი. სკოლა საფეხურებრივად ჩვეულებრივ დაყოფილია დანყოფილებად, საბაზო და საშუალო საფეხურებად და სწავლა 11-წლიანია. დანყოფილებში, როგორც წესი, ერთი ძირითადი პედაგოგი ასწავლის ყველა საგანს ორ დამხმარე მასწავლებელთან ერთად, მაღალ კლასებში კი, როგორც ჩვენთან – საგნობრივი მასწავლებლები. დანყოფილები სკოლაში ერთ-ერთი შესვენება საათნახევარი გრძელდება. ამ დროის განმავლობაში ბავშვები გადიან მიმდებარე ტყეში, მუშაობენ ხეზე, მიწაზე და ა.შ.

ერთ დღეს საკლასო ოთახში მართლმადიდებლური ხატები დავინახე. როგორც წესი, ასეთი რამ არ ხდება და გამიკვირდა. ასე ამიხსენს: ეს ხატები ჩვენს ერთ-ერთ მასწავლებელს ეკუთვნის, რომელმაც დიდი ხნის წინ დატოვა სკოლა. დაუბარებია, ჩემს ნივთებს ისე მოექცეოთ, როგორც გაგიხარდებათ. ხატები ბავშვების ნებართვით დატოვეს, რადგან მათივე განცხადებით ეს ხელს არ შეუშლიდათ სასწავლო პროცესში და, კონკრეტულად, მართლმადიდებლური ხატების არსებობა არავის მიაყენებდა ზიანს. ამბობენ, რომ სანამ მოსწავლეებს თავისუფლებას მისცემთ, მანამდე თქვენ თვითონვე უნდა გაერკვეთ რა არის თავისუფლება.

სწორება ინტეგრირებულ სწავლებაზე

ბოლო დროს გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს, ფინურ განათლების სისტემაში საგნობრივი სწავლება აღარ იქნება და მას ერთიანი გაკვეთილები ჩაანაცვლებს. ეს არ შეესაბამება სიმართლეს. რას გულისხმობენ ცვლილებაში – შესაძლოა ფიზიკის გაკვეთილზე რომელიმე თემის ახსნისას რაღაც დონით მათემატიკის ახსნაც დასჭირდეთ, ანუ უფრო მეტი ინტეგრირება ხდება საგნებს შორის. აქედან გამომდინარე, პედაგოგი უნდა იყოს ძალიან მაღალკვალიფიციური როგორც ერთ, ისე მეორე საგანში. ალბათ, საინტერესოა, როგორ მოხდება მასწავლებელთა ისე მომზადება, რომ, ერთდროულად, რადენიმე საგანი ასწავლონ. ფიზიკის მასწავლებელმა, თავისთავად, გარკვეულ დონეზე იცის მათემატიკა ისე, რომ მათემატი-

განათლება უსსოთში

კის ელემენტები ფიზიკასთან ინტეგრირებულად ასწავლოს და ასევე მათემატიკის პედაგოგიც. ასეთი ტიპის ინტეგრირებისთვის, გარკვეულ ეტაპზე, მასწავლებლის გადამზადება საჭირო გახდა, რათა გამოერკვიათ მასწავლებლების შესაძლებლობები და კომპეტენციები. ფინური განათლების სისტემა, ძირითადად, ინტეგრირებულ სწავლებაზე გადადის, რომელიც, ალბათ, რთული პროცესია, თუმცა შედეგის მომცემი.

მათი სახელმძღვანელოებიც ინტეგრირებულია და არ მინახავს არც ერთი ისეთი სქელტანიანი წიგნი, როგორც ჩვენს მოსწავლეებს აქვთ. სახელმძღვანელოები, საჭიროების მიხედვით, ინდივიდუალურადაც იქმნება. ფინელი მოსწავლისთვის ყველა სახელმძღვანელო უფასოა, ისევე როგორც კვება – ზოგადად, ფინური სკოლა უფასოა. მასწავლებლები ხშირად იყენებენ ინტეგრირებულ ე.წ. „რიდერებს“ – თვალსაჩინოებას, დამხმარე რესურსებს. საკლასო ოთახი აღჭურვილია ყველანაირი ტექნიკით, მაგრამ გაკვეთილზე პროექტორებსაც იყენებენ, ცარცსაც და დაფასაც, მარკერებსაც და ფურცლებს დახატულ თვალსაჩინოებასაც. თითქმის, ყველა მოსწავლეს აქვს აიპედი და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ეხმარებათ სწავლის პროცესში, ბოლო დროს, მისი წინააღმდეგები არიან. ამბობენ, რომ უნდა აღმოფხვრან, რადგანაც აიპედები ბავშვებს ტექნიკაზე დამოკიდებულებს ხდის. თუმცა, გარკვეულ დაბრკოლებებს აწვდის, რადგან ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სწორედ აიპედებშია ჩატვირთული და მისი ამოღება სასწავლო პროცესიდან შესაძლოა პროცესის შემაფერხებელიც გახდეს.

ასტრაქციონიზმი ხელოვნების გაკვეთილზე

პირველი კლასის მოსწავლეებს ხელოვნების გაკვეთილზე აუხსნეს ასტრაქციონიზმი და დაურიგეს ფურცლები, რომელზეც სხვადასხვა დეტალებია გამოსახული. დავალება იყო ასეთი: აირჩიეთ ამ დეტალებიდან რომელიც გინდათ და დახატეთ „პიკასოს ქალის“ პორტრეტი. თუ შეთავაზებული დეტალებიდან არც ერთს არ აირჩევდნენ მოსწავლეები და საკუთარი ინტერპრეტაციით დახატავენ პორტრეტს, რომელიც არ ჯდება პიკასოს სტილში, მაშინ ნათელია, რომ მათ სწორედ ვერ გაიგეს დავალება და აცდნენ თემას. ხელოვნების გაკვეთილზე პირველივე კლასში რომ ასე ასწავლი პიკასოს ან ნებისმიერ სხვა მხატვარს, თანაც არა მხოლოდ თეორიულად, თავისთავად, ის კარგად ისწავლის კონკრეტული მხატვრის სტილსაც და, ზოგადად, მიმდინარეობას ხელოვნებაში.

მოსწავლეთა შეფასება

მოსწავლე მე-7 კლასამდე ქულებით არ ფასდება, მათ აფასებენ ვარსკვლავებით ან რაიმე სხვა ნამახასისებელი ნიშნებით. რაც შეეხება მაღალ კლასებს, მოსწავლეებს ქულები ინდივიდუალურად ენერებათ და არ არსებობს საერთო ყურნალი, რომლის ნახვასაც სხვა შეძლება. ონლაინ პორტალის პაროლი, სადაც პედაგოგები ქულებს წერენ, მხოლოდ მოსწავლემ იცის, მასზე მშობელსაც კი არ აქვს წვდომა. თუ მშობელი ოფიციალურად, წერილობით მიმართავს დირექტორს და მოსწავლის თანხმობაც იქნება, მხოლოდ მაშინ შეუძლია ქულების ნახვა. მშობლის ჩართულობა უკიდურეს შემთხვევებში ხდება, თუმცა, თუ გამოთქვამს სურვილს, რომ მიჰყვეს შვილის სასწავლო პროცესს, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობას აძლევენ, გარკვეული დოზით და გარკვეულ ეტაპზე. როგორც წესი, მშობლები სასწავლო პროცესში არ ერთვებიან, რადგან მოსწავლის პრობლემებს ფსიქოლოგები და სკოლის პერსონალი აგვარებს.

თუ დაგალ შედეგზე გაიყვანა მასწავლებელმა კლასი?

როცა ეს კითხვა დაგვს, მითხრეს, რომ დაბალი შედეგები არ არსებობს – თქვენ რომ იქ 15 წლის წინ გეკითხათ, გიპასუხებდით, მაგრამ ახლა ვერ გიპასუხებთ, რადგან ასეთი შედეგები ჩვენს სკოლებში არ არის. დამოკიდებულება ძალიან მეგობრულია და მასწავლებელს გარემუქმდებელი არავინ ჰყავს. სიტუაცია ზოგადად სხვანაირი, დირექტორი არც მორიდან აფასებს მასწავლებელს და არც საგანგებოდ შედის კლასში დასაკვირვებლად. პროცესს არ აკვირდებიან, რადგან თუ პრობლემაა, ამას აუცილებლად თავად მასწავლებელი იტყვის, რაც მთავარია, მოსწავლის შედეგები აჩვენებს.

საკლასო ოთახი, ერთი შეხედვით, არაფორმალური გამორჩეული

კრემისფერმა, სადა კედლებმა ცოტათი საბჭოთა სკოლაც კი მომგავინა. სკოლებს, რომლებშიც მომინია ვიზიტი, არ ახასიათებთ თანამედროვე სტილი, თუმცა, განსხვავებულია სხვა რამით – მაგალითად, კლასში დგას ჩაის და ყავის აპარატები. ბავშვები ფეხსაცმელებს იხდიან და გაკვეთილზე ფეხსაცმელები დადიან; ყველაზე აწყობა ყურსასმენები. ზოგიერთ მოსწავლეს დაავლებზე ფიციტები უჭირს, ამიტომ შეუძლიათ ყურსასმენების გამოყენება. ისინი ხმაურს ახშობენ და ეხმარებიან მოსწავლეს დავალების უკეთესად შესრულებაში. საკლასო ოთახში ასევე დგას რამდენიმე დივანი და ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია დაჯდეს და ისე იმუშაოს; ასევე, ფინურ გაკვეთილზე ნახავთ იატაკზე, ხალიჩებზე ნამოწოლილ ან დამჯდარ ბავშვებს – მათ აბსოლუტური თავისუფლება აქვთ.

ფინელ მასწავლებლებს გაცილებით ახლო ურთიერთობა აქვთ ბავშვებთან, ვიდრე ჩვენს მასწავლებლებს. რა თქმა უნდა, ამის განზოგადება არ შეიძლება, მაგრამ, რომელიცაა, ასეა. ყველა ქმედებით იგრძნობა, რომ ცდილობენ ძალიან ახლოს იყვნენ მოსწავლეებთან, კაფეტერიაშიც ერთად გადიან და სადილობენ. გაკვეთილზე თუ მოსწავლეს არ უნდა მაგიდასთან ჯდომა და იატაკზე არჩევს ყოფნას, მასწავლებელიც იქვე მიუჯდება. ჩვენთან, შეიძლება აგრესიაც კი გამოიწვიოს გაკვეთილზე იატაკზე ნამოწოლილმა მოსწავლემ. როდესაც ამის ამსახველი ფოტო გამოვაქვეყნე სოციალურ ქსელში, კომენტარებით მივხვდი, რომ აგრესიას იწვევდა ხალხში.

მოსწავლის და მასწავლებლის მოტივაცია

მასწავლებლის მოტივაციას, პირველ რიგში, საქმის სიყვარული და მაღალი ხელფასი ზრდის. ფინელი მასწავლებლის ყოველწლიური შემოსავალი, მინიმუმ, 43 ათასი ევროა, რაც საშუალო ხელფასად ითვლება, რა თქმა უნდა, ამაზე მაღალი ანაზღაურებაც აქვთ. ხელფასში განსხვავება კვალიფიკაციის მიხედვითაა, რაც ძირითადად, გამოცდილებით განისაზღვრება. ზოგადად, ცდომილება ფინეთში მოქალაქეების ხელფასს შორის თითქმის არ არის – პირობითად, მძღოლსაც და მასწავლებელსაც თვეში, დაახლოებით, ერთნაირი ხელფასი გამოსდის, მიუხედავად იმისა, რომ მძღოლს უფრო დაბალი ანაზღაურება აქვს, ვიდრე მასწავლებელს. მაგრამ ის ნაკლებ გადასახლს უხდის სახელმწიფოს, სწორედ ამის ხარჯზე ბალანსდება მათი ხელფასის ოდენობაც. პირობითად ვიტყვი, თუ სკოლის დამლაგებელს თვეში ანაზღაურება 3000 ევრო აქვს და მასწავლებელს – 5000, მათი საშუალო ხელფასი, საბოლოო ჯამში, ერთნაირი გამოდის განსახვავებული გადასახადების გამო.

მოსწავლის მოტივაციას თავისუფალი გარემო და ინდივიდუალური საჭიროებაზე მორგებული სასწავლო პროცესი ზრდის – დღეს არ უნდა სწავლა, არ ისწავლის და არც არავინ აიძულებს, სამაგიეროდ, ხვალ ისწავლის.

„ჩვენ ყველა საციცალური საჭიროებების ვართ“

ფინეთში სპეცსკოლებში ვიზიტმა ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა. გამიკვირდა, როდესაც გავიგე, რომ სპეცსკოლაში სწავლა მოსწავლეს შშმ ან სსმ მოსწავლის სტატუსს არ სძენს. ყველა მათი პრობლემა პოზიტიურ კონტექსტში განიხილება და მიაჩნიათ, რომ თუ მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და ინდივიდუალური მასწავლებელი სჭირდება, ეს სავესებით ნორმალურია. ამბობენ, რომ „ჩვენ ყველა სპეციალური საჭიროებების ვართ“. დიახ, ეს მართალია ასე.

მოსწავლე, რომელსაც უჭირს სხვადასხვა საგნის ათვისება, თავისი ნებით იცვლის სკოლას, უერთდება სპეცსკოლას და შემდეგ ყველა ერთად იწყებს შედეგის გაუმჯობესებაზე მუშაობას. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა სკოლებში მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებებს არ ითვალისწინებენ. შედეგების გაუმჯობესების შემდეგ, მოსწავლეს თავის სკოლაში დაბრუნება შეუძლია. რა თქმა უნდა, შშმ და სსმ მოსწავლეები ყველა სკოლაში არიან და მათი კლასებში დაკომპლექტება მოსწავლეებისა და მშობლების თანხმობით ხდება. თუ კლასში 15 მოსწავლეა, მაშინ შშმ და სსმ მოსწავლეთა რიცხვი შეიძლება 8 იყოს. მათთან ყოველდღიური ურთიერთობა ყველა სხვა დანარჩენ მოსწავლეს ტოლერანტულს ხდის და აჩვენებს იდეას, რომ სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეები მათგან არაფრით განსხვავდებიან და ისევე სჭირდებათ განათლება, მზრუნველობა და სიყვარული, როგორც სხვებს.

გული მწყვდებოდა, როდესაც ამ, ერთი შეხედვით უტოპიურ, სამყაროში ვმოგზაურობდი და ქართული სკოლებისთვის არაფრის გაკეთება არ შეემძლო. ინფრასტრუქტურის ფუფუნება ჩვენ არ გვაქვს, მაგრამ სხვადასხვა საკითხებისადმი ჯანსაღი დამოკიდებულების ჩამოყალიბება ბევრ ფინანსურ რესურსს ხომ არ საჭიროებს? მე – ჩემი მეგობრების შვილებს, თქვენ თქვენს შვილებს და შვილიშვილებს ასწავლეთ, რომ შშმ და სსმ პირი ისეთივეა, როგორც ჩვენ. ისეთივე სარგებელი სჭირდება გარემოსგან, როგორც ჩვენ და ისეთივე სარგებლობის მოტანა შეუძლია საზოგადოებისთვის, როგორც ჩვენ!

თითქმის ყველას ვუყვები ამბავს, რომელზეც რთულია ცრემლები შეიკავო. სპეცსკოლაში მიიღეს მოსწავლე, რომელსაც არაფრის გაკეთება არ შეემძლო, გარდა თავისა და თვალეების ოდნავი მოძრაობისა. „დავსხედით და ვფიქრობდით, თუ როგორ შეიძლება მოსწავლის შესაძლებლობების რეალიზება და საზოგადოებისთვის სარგებლის მოტანა. შემდეგ ასეთი რამ მოვიფიქრეთ. თავზე დაგუმარეთ ყანისნალი ისე, რომ თავის ოდნავი მოძრაობით შეეძლო ძაფიდან თვლების ამოყვანა. დავახმარეთ პედაგოგი, რომელსაც საქოლო ძაფი და ნაქსოვი უჭირს. მოსწავლემ ფარდა მოქსოვა“ – მიაბნეს სკოლაში.

როდესაც ეტლით მოსიარულეს ჩვენივე კომფორტისთვის გზას ვუკეტავთ, როდესაც ჩვენს შვილებს მათგან „განსხვავებულ“ მოსწავლეებთან თამაშს ვუშლით, როდესაც ჩვენგან „განსხვავებულ“ პირებს „ავადმყოფებს“ ვეძახით – არ უნდა დავივიწყოთ ჩემი, შენი, ჩვენი სპეციალური საჭიროებები.

„ყველა მოსწავლე ინდივიდუალი და ყოველ მოსწავლეს აქვს უფლება, იყოს პარსკმლანი“

შშმ და სსმ მოსწავლეები კლასში გონებრივი შესაძლებლობის მიხედვით არიან დაკომპლექტებული და არა ასაკის ან ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით. მასწავლებლები ამბობენ, რომ „ყველა მოსწავლე ინდივიდია და ყოველ მათგანს აქვს უფლება, იყოს ვარსკვლავი“. სპეცსკოლაში, გარდა სპეცმასწავლებლებისა, არიან თერაპევტები, ფსიქოლოგები, ნევროლოგები. გარდა ამისა, ზოგიერთ მოსწავლეს ჰყავს კერძო ფსიქოლოგი. შშმ და სსმ მოსწავლეებს აქვთ განერილი დღის გეგმა, მათ წინასწარ უნდა იცოდნენ თუ რის გაკეთებას აპირებენ დღის განმავლობაში. კარადის კარზე დამაგრებულია ფოტოები, რომელიც ამ მოსწავლეებს ეხმარება კარადაში დააბრუნონ ზუსტად ის და იმავე რაოდენობის ნივთი, რომელიც გამოიყენეს.

სკოლაში ამ კატეგორიის ზოგიერთ მოსწავლეს სადილი კლასშივე აქვს. მოგეხსენებათ, მოსწავლეთა ნაწილს უჭირს გადაადგილება, რაც დამატებით დროსა და ენერჯის მოითხოვს. ადმინისტრაციამ ფიქრობს, რომ ასეთი მომსახურებით მოსწავლეების დრო იზოგება. ზოგი მოსწავლე კი, სასადილოდან დაბრუნების შემდეგ, რთულად ახდენს კონცენტრაციას მასალაზე, ამიტომ, რაც შემთხვევებში, სადილი საკლასო ოთახში გამართულია. სანოლი მათი საკლასო ოთახის ნაწილია და განკუთვნილია მათთვის, ვინც სასწავლო პროცესით იღლება და დასვენება სჭირდება; დრამის გაკვეთილი კი პიპერაქტიული მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი.

შშმ და სსმ მოსწავლეების მერხებზე დამაგრებულია ე.წ.



ფხრინი, სადაც დღის განრიგი წერია. ფხრინი იმიტომ, რომ განრიგის შეცვლის შემთხვევაში მათი გადაადგილება მარტივია. კლასში ასევე გამოკრულია ქვევის კოდექსი, რომელსაც, როგორც წესი, მოსწავლეები ადგენენ. ალბათ გაგიკვირთ ასეთი გამოხატულება: „ყველაზე კანონმორჩილი ადამიანია ის, ვინც წესების შექმნაში მონაწილეობს“. ეს ფინეთის სკოლებში ძალიან კარგად მუშაობს. რეგულაციები ასეთია: მოუსმინე ინსტრუქციებს; არ დააგვიანო; მიხედვე შენს ნივთებს; დაეხმარე სხვებს და ა.შ.

ერთი წლის შემდეგ

ისევე ვესტუმრე ფინეთის სკოლებს, სადაც ადრე ინტერვიუს ვიღებდი და გაკვეთილებს ვესწრებოდი. ქალაქ ტურკუს ერთ-ერთი სპეცსკოლის (რომელიც არაჩვეულებრივი პერსონალით და ძალიან თბილი გარემოთი დამამახსოვრდა) დირექტორს რომ შევხვდი, პირველი ის ვკითხე, თუ რა შეიცვალა ჩემი იქ არყოფნის პერიოდში და გადიემა. შენ გავიანა, სკოლაში ასე სწრაფად რამეს ვცვლით? და მაგიდაზე თითის ნელი მოძრაობით მიჩვენა ფინური განათლების სისტემაში განხორციელებული ცვლილებების სიჩქარე... ჩვენთან ცვლილებები ხორციელდება ძალიან ნელა და, რაც მთავარია, წინასწარი გათვლებითა და დაკვირვებით. შემდეგ მე მოვუყვინ ვაშლების, ნაცარქექიას და ზუთკუნჭულას ზღაპრების როლზე ქართული განათლების სისტემაში და კარგადაც ვახალი-სე. ბევრი საუბრის შემდეგ, ჩემმა უსაყვარლესმა მეგობარმა, ელინამ, რომელიც ამავე სკოლის ყველაზე გამორჩეული მასწავლებელია, კიდევ ერთხელ მომატარა სკოლა. ერთ-ერთ საკლასო ოთახში ტრენაჟორები და ბილიარდის მაგიდაა, საგანს, რომელსაც აქ ატარებენ „Learning by doing“ ჰქვია. იკითხავთ კლასში ბილიარდს და ტრენაჟორებს რა უნდაო, მაგრამ ყველაფერს თავისი დანიშნულება აქვს. მათ, ვისაც მათემატიკის სწავლა უჭირს, ხშირად ბილიარდს ათამაშებენ. ბურთებზე გამოსახული რიცხვები მიმატება-გამოკლების სწავლას უფრო სახალისოს და მარტივს ხდის. ტრენაჟორს კი წინ პატარა ეკრანი აქვს, სადაც სხვადასხვა დავალებებია ჩატვირთული. მოსწავლეები პლანშეტზე მიჯაჭვის ნაცვლად ფიზიკური აქტივობით არიან დაკავებული.

გარდა იმისა, რომ კლასში დღის გეგმა გამოსაჩენ ადგილასაა, ვისაც მისი დანახვა/აქტუალური ან მეტყველების პრობლემა აქვს, ინდივიდუალური პლანშეტითაა უზრუნველყოფილი, სადაც აღნიშნული გეგმა ჩატვირთული. თუ მოსწავლეს უჭირს რომელიმე ფოტოს აღქმა, არც ესაა პრობლემა, რადგან აპლიკაცია ხმოვანია და თითის დაჭერით მოსწავლე ინფორმირებულია დაგეგმილი აქტივობის შესახებ. გარდა ამისა, აპლიკაციაში ჩატვირთულია პედაგოგების სურათები. მოსწავლეს შეუძლია პედაგოგის სურათზე თითის დაჭერით და, შესაბამისად, ხმოვანი სიგნალით დაუძახოს მასწავლებელს.

ვერ გეტყვით, ფინეთის სკოლებში ახალგაზრდა მასწავლებელი უფრო მეტია თუ ასაკოვანი. ცხადია, რომ მასწავლებლის პროფესია ყველაზე მოთხოვნადია. ბალებში რომ ჩაატაროთ გამოკითხვა – რა პროფესია მოსწონთ, ბავშვების უმეტესობა გეტყვით, რომ ძალიან მოსწონს მასწავლებლის პროფესია. შეიძლება, დაახლოებით, ორმა პროცენტმა თქვას, რომ უნდა გახდეს პოლიციელი ან ექიმი. ქვეყანაში, ზოგადად, მასწავლებლის პროფესია ძალიან პოპულარული და პრესტიჟული. მოსწავლეები სკოლას რომ ამთავრებენ, ძირითადად, სწორედ პედაგოგობაზე მეცნიერებებზე აგრძელებენ სწავლას, რაც აისახება კიდევ მათი განათლების სისტემაზე.

ესაუბრა ლალი ჯეილაძე

МЕТОДИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО ДЛЯ УЧИТЕЛЕЙ НАЧАЛЬНЫХ КЛАССОВ ГРУЗИНСКИХ ШКОЛ СИСТЕМА УПРАЖНЕНИЙ ПО РАЗВИТИЮ РУССКОЙ УСТНОЙ РЕЧИ УЧАЩИХСЯ V-VI КЛАССОВ (НА МАТЕРИАЛЕ ТЕКСТОВ ДЛЯ ЧТЕНИЯ)



ეკატერინე ცაყაძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
სსიპ თბილისის №49 საჯარო სკოლის დირექტორი,
რუსული ენის წამყვანი მასწავლებელი

Изучение русского языка в грузинской средней школе давно уже заняло прочное место. Активизированы научно-методические силы страны, разрабатываются теоретические основы методики, улучшаются объективные условия школьного обучения в целом. Перед общеобразовательной школой поставлена вполне определенная задача: привить учащимся такие знания, умения и навыки по русскому языку, которые позволили бы выпускникам практически пользоваться им в процессе коммуникативного общения.

В статье предпринята попытка решить ряд вопросов. В частности, это касается:

- 1) обработки орфоэпических навыков и развития фонематического слуха учащихся;
- 2) определения круга ситуаций для элементарного общения и соответствующего языкового материала;
- 3) развития устной речи учащихся начальных классов на материале текстов для чтения;
- 4) обоснования единой системы упражнений, включающей стимуляцию элементарной диалогической и монологической речи.

Главной целью обучения русскому языку в начальных классах грузинской школы является научение устной речевой коммуникации. Теоретический постулат о необходимости коммуникативной направленности обучению русскому языку позволил пересмотреть систему упражнений, применяемых на начальном этапе обучения, сгруппировать их в той последовательности, которая, по нашему мнению, в наибольшей степени способствует привитию навыков говорения на русском языке. Это стало необходимым из-за недостаточности четко и рационально представленной в учебной литературе системы упражнений по развитию русской устной речи учащихся на материале текстов для чтения. Нами были проанализированы и упорядочены упражнения по усвоению значения слов, предъявляемых учащимся в словосочетаниях и предложениях, извлеченных из учебных текстов или построенных на их основе. Таким образом, учебный текст избран той отправной точкой, на которой строится обучение, а следовательно, и становление связной речи учащихся. При этом учитывались как трудности усвоения русской фонетико-грамматической системы, так наиболее частые ошибки устной речи учащихся начального центра, зафиксированные нами в течение многолетней практики преподавания в школе.

Цель исследования формулируется следующим образом:

1) Разработка системы дотекстовых упражнений по предварительному снятию интонационно-орфоэпических трудностей, имеющихся в учебном тексте и притекстовых упражнений, направленных на изучение лексико-грамматического материала текста, привитие навыка аудирования связного текста и дальнейшее усвоение его содержания; 2) Разработка системы послетекстовых упражнений, направленных на формирование навыка связного высказывания по тексту и включение усвоенного в активную речь.

Обучающий эксперимент заключался:

1) в активизации и упорядочении системы упражнений, подготавливающих устную речь с целью обеспечения доста-

точного уровня автоматизации речевого навыка;

2) в разработке и апробации системы упражнений по развитию элементарной диалогической и монологической речи учащихся в связи с усвоением текстов для чтения.

Обучение русскому языку в экспериментальных и контрольных классах велось по действующей программе т.е. по национальному учебному плану. Руководствуясь принципом: „говорению учатся разговаривая“, учителя экспериментаторы систематически отводили говорению последние 3-4 минуты урока на стадии выраженного утомления. Игровые ситуации оживляли урок, снимая усталость, внося свежесть в учебную деятельность.

Для выяснения эффективности данной работы было проведено экспериментальное обучение по нескольким темам учеников V и VI классов. Остановимся на упражнениях по теме „Мы читаем про животных“, акцентируя лишь обучение диалогической речи с постепенным переходом к монологической.

V класс

1. Слушайте и повторяйте.

Образец: – Это твоя кошка? – Да, моя (Нет, не моя).

(Здесь и в остальных случаях активизировалась новая лексика из учебных текстов).

2. Спрашивайте и отвечайте.

Образец: – Что это? – Это – Кто это? – Это

3. Задавайте вопросы и отвечайте.

– Это волк или собака? – Это волк.

4. Закончите высказывания. Это моя собака. Ее зовут Бобик.

Это моя кошка. Ее

Это мой ежик. Его

Это мой зайчик. Его

5. Ответьте на вопросы по образцу:

– Что любит белка? – Орешки.

(А медведь, лиса, заяц, ежик, кошка, собака и т.д.)

6. Повторите несколько раз. Запомните.

– Куда ты идешь? – В зоопарк.

– Где ты был вчера? – В зоопарке. (и т.д.)

7. Спрашивайте друг друга. Отвечайте на вопросы по образцу:

(Дальше подставляйте слова из учебника)

– У козы кто? – Козленок.

8. Измените данный разговор, заменяя выделенные слова:

– Это твоя кошка? – Вчера ты был в кино?

– Нет, не моя. – Нет, в зоопарке.

– А чья? – С кем?

– Наверно Гурама. – С папой.

9. Учитель: представь себе, что ты пришел в зоомагазин купить красную рыбку. Как ты спросишь?

Ученик: Дайте мне, пожалуйста, красную рыбку.

Учитель: А как ты ответишь? Ты должна дать рыбку и сказать, сколько она стоит.

Ученик: Возьми, пожалуйста. Рыбка стоит один рубль.

Ученик: Вот рубль, спасибо.

Учитель: Пожалуйста.

10. Несколько раз прочтите данный диалог в лицах. Составьте такой же разговор.

– Где ты был вчера?

– В зоопарке. А ты был там?

– Не был. Скажи, какие звери живут в зоопарке?

– Слоны, тигры, львы, жирафы, волки, медведи. Там очень интересно.

– Правда? Завтра я тоже пойду в зоопарк.

– Обязательно походи.

11. Посмотри на картинку. Представь себе, что это твой аквариум и твои рыбки. Расскажи, как ты ухаживаешь за рыбками, чистишь аквариум, даешь корм. Потом расскажи, какие рыбки живут в аквариуме, какого цвета твои рыбки ...

VI класс

1. Ответьте на вопросы: – Лиса какая? – – А зайчик?

2. Ответьте на вопрос. Скажите „да“ или „нет“.

Образец: – Это твой кролик? – Это ваша кошка?

– Да, мой. (Нет, не мой) – Да, наша. (Нет, не наша).

3. Прочтите несколько раз. Запомните. Составьте такой же разговор со словами: щенок, кролик, зайчик, ежик, белочка.

Образец: – Это ваш котенок? – Нет.

– А чей? – Не знаю. Давай спросим Гурама.

4. Прочтите выразительно:

– Хороший медведь! – Красивая лиса!

– Очень – Да!

5. Постройте разговор, заменив выделенные слова:

– Я люблю вашу белочку.

– Я тоже. А мне нравится ваша рыжая кошка.

– Мне тоже.

6. Переспросите: – Вчера я был в зоопарке.

– Когда?

– Вчера.

7. Переспросите и ответьте. Постройте такой же разговор.

– Я с дедушкой ходил в зоомагазин.

– С кем?

– С дедушкой.

8. Прочтите диалог в лицах. Постарайтесь запомнить. Замените выделенное слово. Вам помогут слова: синяя, серая, розовая, желтая и др.

„В зоомагазине“

– Дайте мне, пожалуйста, рыбку.

– Какую?

– Красную

– Возьмите. Заплатите 1 лари.

– Возьмите. Спасибо.

– Пожалуйста.

9. Задайте вопрос и ответьте положительно (отрицательно).

Образец: – Скажите, пожалуйста, у вас есть обезьянки?

– Конечно!

– А где же они?

– Пойдите прямо и налево.

– Спасибо.

„В зоомагазине“: – Скажите, пожалуйста, у вас есть слон?

– К сожалению, нет.

10. Прочтите несколько раз, вставляя пропущенные слова.

Образец: – Скажите, пожалуйста, что есть слон?

– Траву, капусту, ..., ...,

– А белка?

11. Составьте разговор, используя ответы.

Образец: – Что любит белка?

– Белка? Орешки!

– Медведь? Малину!

– А грибы?

– ... ?

– И грибы.

– И мед очень любит.

12. Прочтите несколько раз. Научитесь задавать вопросы.

Постройте такой диалог про кошку.

– Это ваша собака?

– Что она очень любит?

– Да.

– Шоколад.

– Сколько ей лет?

– Хорошо!

– Два года.

13. Гурам, представь себе, что ты пришел в зоомагазин и хочешь купить птичку. Как ты должен попросить. Потом ты спросишь, сколько стоит птичка, как ухаживать за ней, что она ест.

А ты, Арчил, будешь продавцом. Ты должен сказать, сколько стоит птичка. Гурам хочет узнать, как ухаживать за птичкой. Ты скажи, что надо каждый день давать птичке воду и корм, и чистить клетку. Птичка очень любит семечки...

14. Скажите, где оставили щенка? Что перепортил он?

Представьте себе, что это ваш щенок, и вы рассказываете о нем другу.

15. Озаглавьте части рассказа „Слон и ???“ и перескажите текст по заголовкам. Представьте себя вместо Сережи. Составьте аналогичный рассказ.

16. Посмотрите на третью картинку. Придумайте разговор, который мог бы произойти между детьми. Можете представить себя на место одного из них.

17. Вы прочитали рассказ „Лиса и собаки“. Придумайте другой рассказ. В вашем рассказе лиса должна быть не глупой, а ловкой и умной. Она убежит от собак и спрячется в своей норе.

18. Посмотрите на картинки. Представьте себе, что это ваш школьный „живой уголок“. Опишите его. Расскажите, как вы ухаживаете за животными в вашем „живом уголке“.

Выше были приведены лишь послетекстовые упражнения, активизирующие диалогическую и монологическую речь младших школьников по всей теме "Мы читаем про животных". Остановимся на одном из текстов по названной теме, например, на усвоении рассказа "Храбрый заяц". На материале данного рассказа были выполнены:

I. Дотекстовые упражнения

1. Прочтите вслух несколько раз: зайныка, маленький, глупенький, серенький, беленький.

2. Прочтите слитно: в лесу, на земле, на пол, под стол, по лесу, в кусты; не знает, не выходит, не обидим, не сказал.

3. Слушайте, повторяйте. Обратите внимание на произношение ы: мы, были, лапы, прыг-прыг, храбрый, зайцы, выпустил, выгасил, выскочит, целый.

4. Прочтите выразительно:

– Папа, беги скорей! Гия кого-то поймал.

– Глупенький, мы же люди, мы тебя не обидим!

– Ну что ж, возьмем себе зайчика?

– Знаешь что? Пойдем лучше отнесем зайчика в лес.

Выполнение этих упражнений способствовало предвари-

პედაგოგია

тельному снятию некоторых произносительно-интонационных трудностей и способствовало более успешному чтению текста учащимися.

2. Притекстовые тренировочные упражнения

- 1. Скажите по образцу: дерево – под деревом, куст – ..., стол – ... придумайте предложения.
2. Ответьте на вопросы: собака (какая?) ..., зайчик (какой?) ..., котенок (какой?) ..., зайчики (какие?)
К слову храбрый подберите сначала антоним, затем синоним. Придумайте словосочетания, предложения.
3. Подберите слова-антонимы: смелый заяц – трусливый заяц, передние лапки – ..., одинаковые зайцы – ...
4. Ответьте на вопросы: Где был Сережа? (лес). Куда пошла Сережа с папой? (лес). Где сидел зайчик? (куст). Куда убежал зайчик? (куст).
5. Составьте предложения со словами: спрятаться, улыбаться, драться.
6. найдите в тексте и прочтите предложения, которые могут быть ответами на вопросы: Что закричал Сережа, когда увидел зайчика? О чем спросил отец Сережу на следующий день? Что ответил Сережа отцу?
7. Ответьте на вопросы. Скажите „да“ или „нет“: Заяц был храбрый? ...

Данные упражнения выполнялись параллельно с усвоением лексико-грамматического материала учебного текста и были направлены на понимание содержания читаемого при зрительной опоре на текст.

3. Послетекстовые упражнения

- 1) Ответьте на вопросы по содержанию всего текста: Куда

пошли отец и Гия? Кто еще был с ними? Кого поймал Нико? Почему? Почему зайчика отнесли снова в лес? А как бы ты поступил? (Последние два вопроса создали предпосылку рассуждений по теме. С них мы и начали выход в речь с опорой на содержание уже усвоенного текста).

2) Скажите, почему зайчика отнесли снова в лес? (Приведем один из ответов учащихся: Этот зайчик храбрый. Он никого не боялся. Он укусил Сережу и котенка. Зайчик не испугался. Он прогнал его и сам лег спать на место Джима. Поэтому зайчика отнесли в лес).

3) Представь себе. Что ты пошел в лес и увидел там маленького зайчика. Как ты поступил бы? (Вот один из ответов учащихся: Однажды Лексо, Гурам и я пошли в лес. Там мы нашли зайчика. Он сидел под кустом. Зайчик был маленький и серенький. Я хотел поймать его. Он убежал под другой куст. Гурам закричал: – не надо ловить зайчика! Жалко! Пусть живет в лесу! И мы не поймали маленького зайчика. Он убежал и даже „до свидания“ не сказал.)

4) Озаглавьте каждую из трех частей рассказа так, чтобы получился план. Перескажите текст по плану. (План, составленный силами учащихся:

- 1. Сережа и папа были в лесу и поймали зайчика.
2. Храбрый заяц дома никого не боялся.
3. Утром зайчика отнесли в лес).
5) Найдите различия между текстами „Храбрый заяц“ и „Белка и заяц“. Опишите героев, сравнивая их. (Вам помогут слова: белый заяц-серый заяц, большой-маленький, храбрый-трусливый).
6) Лексо и Гурам, представьте себе, что это вы пошли в лес и ваша собака поймала зайчика. Вы решили взять зайчика

домой, ухаживать за ним до весны (в лесу холодно, наступает зима, зайчик голодный), а потом отпустить его в лес. О чем вы будете говорить?

Эти упражнения выполнялись учащимися без зрительной опоры на текст, но в связи с его содержанием. Они использовались нами в процессе опытного и экспериментального обучения на материале учебного текста "Храбрый заяц". В учебнике III класса упражнения в связи с этим текстом представлены в следующем соотношении:

Table with 3 columns: Упражнения, Количество упражнений в учебнике, Количество упражнений в исследовании. Rows: I. Дотекстовые, II. Притекстовые, III. Послетекстовые.

Проведенное исследование позволяет прийти к заключению, что обучение устной речи на материале текстов для чтения дает положительные результаты. Становление речи младших школьников является сложным и длительным процессом и требует повседневной кропотливой работы. Начиная с усвоения нового слова, следует делать целевую установку на включение его в активную речь учащихся. Нами показано, как слово, подлежащее активному усвоению, вводится в словосочетание, предложение, высказывания учащихся в связи с текстом. Все это является подготовкой к умению строить элементарную речь через элементы речи.

ინფორმაცია

„ჩემი სამშობლო ჩემი ბუნია“



საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან

გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლისთავს. ბევრი სახელოვანი მამულიშვილის სისხლი დასჭირდა დამოუკიდებლობას, თუმცა ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა. ჩვენი სამშობლო ჯერაც არ არის თავისუფალი. ახალგაზრდობის თავმოყრა ამ წმინდა, ნათელ მინაზე სწორედ იმას ემსახურება, რომ მომავალმა თაობამ ილიას გაკვალული გზით იაროს.

ასე დაიწყო საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სასწავლო-საგანმანათლებლო შემეცნებითი კონკურსის – „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ დასკვნითი ტური, რომელიც აფხაზეთის მთავრობის და განათლებისა და კულტურის სამინისტროს კულტურულ-შემოქმედებითი ინიციატივის ფარგლებში ჩატარდა. პროექტის ორგანიზატორები იყვნენ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელოვნების და მიმდინარე ლონისძიებების სამსახურის სახელოვნებო განათლების განყოფილება და აფხაზეთის ა/რ ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირი „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარება“.

პროექტი ორ ტურად განხორციელდა:

- I ტური – შიდასაკოლო (15 მარტი-20 მაისი);
II ტური – დასკვნითი, შემავამებელი (10 მაისი-24 მაისი).

პროექტში მონაწილეობა მიიღეს: თბილისისა და რეგიონებში განთავსებულმა აფხაზეთის საჯარო სკოლების მოსწავლე ახალგაზრდობამ, კერძოდ, კომპაქტურად ჩასახლებულმა შემოქმედმა მოზარდებმა, სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებმა (სულ 150-ზე მეტმა ბენეფიციარმა) და საგურამოს საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ინტელიგენციამ, აფხაზეთის

მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა, კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წევრებმა.

ლონისძიებაზე განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- იუბილესადმი მიძღვნილი მხატვრული ნამუშევრების გამოფენა;
• კონკურსის „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“ გამარჯვებული ბენეფიციარების ნამუშევართა პრეზენტაცია;
• ლიტერატურული კომპოზიცია „ჩემი სამშობლო ჩემი გულია“;
• თბილისის გ. უშიკიშვილის სახელობის ფოლკლორული სკოლის მომწერალთა გუნდმა შეასრულა ქართული, აფხაზური, ლაზური და ოსური სიმღერები;
• პროექტის მონაწილე ბენეფიციარები დაჯილდოვდნენ აფხაზეთის მთავრობისა და განათლების სამინისტროს სპეციალური დიპლომებითა და პრიზებით შემდეგ ნომინაციებში:
ა) ხელოვნების ნიმუშები: ნახატი, ხელნაკეთი ნამუშევარი, ნაქარგი, გობელენი;
ბ) ლიტერატურული – ლექსი, ჩანახატი, მოთხრობა, ესე, პუბლიცისტური ნაშრომი;
გ) კონკრეტული, მამულისათვის თავდადებული გმირი;
დ) თავისუფალი თემა – ისტორიული სინამდვილიდან გამომდინარე, აფხაზ და ქართველ მომავალ თაობებს შორის ნდობისა და მეგობრობის აღდგენა.

შეკრებილებს იუბილე მიულოცეს: ვახტანგ ყოლბაიამ – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე; მანანა ქვაჩახიამ – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა; ლონისძიების მასპინძელმა ანდრო ბედუკაძემ – საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორმა; მანანა შამხალაშვილიმა – სსიპ დავით გურამიშვილის სახელობის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საგურამოს საჯარო სკოლის დირექტორმა; აფხაზეთის ახალგაზრდობის შემოქმედებითი კავშირის „ახალგაზრდობა, მშვიდობა და განვითარების“ წევრებმა – ქეთევან ოთხოზორიამ, კონჩა ჩანგელიამ, ელენე კოპალიანამ, ანა მაქსკარიამ (აფხაზეთის №14 საჯარო სკოლა) და სხვებმა.

პროექტის პარტნიორები იყვნენ: აფხაზეთის ა/რ მთავრობა და უმაღლესი საბჭო; საპატრიარქო; თბილისის მერია და საკრებულო; თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის



ლიტერატურული მუზეუმი. ლონისძიების დასასრულს, პროექტის მონაწილეებმა დაათვალიერეს მუზეუმის ექსპოზიცია, ხელი მოაწერეს „მეგობრობის მემორანდუმს“ და სამახსოვრო სურათები გადაიღეს.

ნონა პირაია



კოვანის უნარების გამოვლინების მოსაზრებებზე ბიოპროცესების დამახინჯებას,

კომპლექსური კითხვა-პასუხის ფორმატშია მომზადებული CAVABLARI ILƏ ÖNƏMLI SUALLAR

ენიშნულოვანი მართი პასუხებით

სწავლის და განვითარების თეორია

ყარისი ხარისხი ყათისის მართი მართი მართი მართი

212. Meta-dərketmə nədir?
Yetkin insanın bacarığıdır ki, öz əqli proseslərinə nəzarət etsin.

213. Model kimdir?
Sosial davranışın öyrənilməsi üçün müşahidə edilən insan.

214. Modelləşdirmə nədir?
Modelin müşahidəsi yolu ilə müəyyən əməllərin və ya davranışın mənimsənilməsi prosesi.

215. Motivasiya nədir?
İnsana müəyyən məqsədin əldə edilməsi üçün məqsədyönlü davranışa təkan verən impuls.

216. Motivasiyanın aktivləşdirilməsi nədir?
Xarici stimulların vasitəsilə şəxsiyyətə təsirin göstərilməsidir ki, bu da müəyyən əmələ tərafət ona təkan verir.

217. Hərəkəti reproduksiya nədir?
Beyində təsəvvür edilən davranışın hərəkətə keçirilməsi.

218. Çoxlu reaksiya qanunu nədir?
Torndaikin qanunudur ki, buna əsasən də insan problemlə üzləşir və bunun həlli üçün də onun hazır davranışı yoxdur. O, birinin lazımı nəticə vermədiyinə qədər fərqli davranışlara müraciət edir.

219. Hərəkəti nəzəriyyə nədir?
İnsanın 8 növ fərqli intellektinin olduğu bir nəzəriyyə: lingvistik, məntiqi və riyazi, məkan, musiqili, kinestetik, intrapersonal, naturalist; bir qayda olaraq, insanda bunlardan biri (dominant) inkişaf etmişdir.

220. Hazırkı qanunu nədir?
Torndaikin qanununa əsasən, istənilən reaksiyanın öyrənilməsi – öyrənilməməsi insanın hazırlığından asılıdır.

221. Mənfəət nədir?
Müsbət stimulun kənarlaşdırılması xoşagəlməz davranışdan sonradır.

222. Mənfəət möhkəmləndirmə nədir?
Xoşagəlməz stimulun qarşısının alınmasını nəzərdə tutan möhkəmləndirmə.

223. Operant şərtliliyi nədir?
Öyrətmə növüdür ki, bu zaman davranışın təkrarlanması, yəni təlim davranışının nəticəsindən asılı olur.

224. Pedaqoji məqsəd nədir?
Şagirdlərin/tələblərin gözənilən nəticələr haqqında plan (dərslər, həftənin, semester və ya il ərzində).

225. Müsbət cəzalandırma nədir?
Cəzalandırma növüdür ki, bu zaman xoşagəlməz davranışın qarşısının alınması məqsədilə xoşagəlməz stimuldur.

226. Müsbət möhkəmləndirmə nədir?
Müsbət stimulların artırılması, əlavə edilməsini nəzərdə tutan möhkəmləndirmə.

227. Proaktiv maneəçilik nədir?
Yaddan çıxarmadır ki, keçmişdə öyrənilən material yeni mənimsənilməsinə yada salınmasına mane olur.

228. Reaksiya nədir?
Psixi və ya üzvi proses, davranışdır ki, buna da stimulyon səbəb olmuşdur.

229. Retro aktiv maneəçilik nədir?
Yaddan çıxarmadır ki, bu zaman yeni öyrənilən material əvvəllər mənimsənilməsinə yada salınmasına mane olur.

230. Açıq sual nədir?
Sual tipidir ki, bunun cavabları da əvvəlcədən müəyyən edilməmişdir.

231. Sensor yaddaş nədir?
Yaddaşın toplusu, burada hisslər saxlanılır: görmə, dinləmə, taktıl.

232. Daxili motivasiya nədir?
Motivasiya növüdür ki, bu zaman insana hərəkət zövq verir, xarici mükafatın alınmasına baxmayaraq.

212. რა არის მეტაშეფერხება?
ზრდასრული ადამიანის უნარი, აკონტროლოს საკუთარი შემეფერხებითი პროცესები.

213. ვინ არის მოდელი?
ადამიანი, რომელსაც სოციალური ქცევის დასასწავლად აკვირდებიან.

214. რა არის მოდელირება?
მოდელზე დაკვირვების გზით გარკვეული მოქმედებების ან ქცევის ათვისების პროცესი.

215. რა არის მოტივაცია?
იმპულსი, რომელიც უზიძგებს ადამიანს გარკვეული მიზნის მისაღწევად განახორციელოს მიზანმიმართული ქცევა.

216. რა არის მოტივაციის აქტივაცია?
გარესტიმულების საშუალებით პიროვნებაზე ზეგავლენის მოხდენა, რაც მას უზიძგებს გარკვეული ქმედებებისაკენ.

217. რა არის მოტორული რეპროდუქცია?
გონებაში წარმოდგენილი ქცევის მოქმედებაში გადატანა.

218. რა არის მრავალრიცხოვანი კანონი?
თორნდაიკის კანონი, რომლის მიხედვით, როდესაც ადამიანი გადააწყდება პრობლემას, რომლის გადასაჭრელადაც მას არა აქვს მზა ქცევა, ის მიმართავს მრავალ განსხვავებულ ქცევას მანამ, სანამ ერთ-ერთ მათგანს საჭირო შედეგი არ მოჰყვება.

219. რა არის მრავალფეროვანი ინტელექტის თეორია?
თეორია, რომლის მიხედვით, ადამიანს 8 სახის განსხვავებული ინტელექტი აქვს: ლინგვისტური, ლოგიკური და მათემატიკური, სივრცითი, მუსიკალური, კინესტეტიკური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური, ნატურალისტური; როგორც წესი, ადამიანს ერთი მათგანი ყველაზე განვითარებული (დომინანტური) აქვს.

220. რა არის მზობის კანონი?
თორნდაიკის კანონი, რომლის მიხედვით, ნებისმიერი რეაქციის დასასრული-არდასასრული ადამიანის მზობაზეა დამოკიდებული.

221. რა არის ნეგატიური დასჯა?
პოზიტიური სტიმულის მოშორება არასასურველი ქცევის შემდეგ.

222. რა არის ნეგატიური განმტკიცება?
განმტკიცება, რომელიც არასასიამოვნო სტიმულის მოცილებას გულისხმობს.

223. რა არის ოპერანტიული განპირობება?
დასწავლის ტიპი, რომლის დროს ქცევის განმეორება, ანუ დასწავლა დამოკიდებულია ქცევის შედეგზე.

224. რა არის პედაგოგიური მიზანი?
გეგმა მოსწავლეების/სტუდენტების მოსალოდნელი მიღწევების შესახებ (გაკვეთილის, კვირის, სემესტრის ან წლის განმავლობაში).

225. რა არის პოზიტიური დასჯა?
დასჯის ტიპი, როდესაც უსიამოვნო სტიმული გამოიყენება არასასურველი ქცევის აღკვეთის მიზნით.

226. რა არის პოზიტიური განმტკიცება?
განმტკიცება, რომელიც დადებითი სტიმულების გაზრდას, დამატებას გულისხმობს.

227. რა არის პროაქტიული შეფერხება?
დავიწყება, როდესაც ძველად ნასწავლი მასალა ახლად ათვისებულის გახსენებას უშლის ხელს.

228. რა არის რეაქცია?
ფსიქიკური ან ორგანული პროცესი, ქცევა, რომელიც სტიმულითაა გამოწვეული.

229. რა არის რეტროაქტიული შეფერხება?
დავიწყება, როდესაც ახლად ნასწავლი მასალა ძველად ათვისებულის გახსენებას უშლის ხელს.

230. რა არის ღია შეკითხვა?
შეკითხვის ტიპი, რომლის პასუხები წინასწარ განსაზღვრული არ არის.

231. რა არის სენსორული მენსიერება?
მენსიერების საცავი, რომელშიც შევრძენბები ინახება: მხედველობითი, სმენითი, ტაქტილური.

232. რა არის შინაგანი მოტივაცია?
მოტივაციის ტიპი, როდესაც ადამიანს თავად სიამოვნებს მოქმედება, გარეგანი ჯილდოს მიღებისა და მიუხედავად.

მომზადდა ასოციაცია „ზეკართან“ თანამშრომლობით და ითარგმნა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თვისებრივი პროფესიონალური ფინანსური მხარდაჭერით.

212. რა არის მეტაშეფერხება?
ადამიანის უნარი, საკუთარი ქცევის პროცესებს აკონტროლოს.

213. ვინ არის მოდელი?
ადამიანი, რომელსაც სოციალური ქცევის დასასწავლად აკვირდებიან.

214. რა არის მოდელირება?
მოდელზე დაკვირვების გზით გარკვეული მოქმედებების ან ქცევის ათვისების პროცესი.

215. რა არის მოტივაცია?
იმპულსი, რომელიც უზიძგებს ადამიანს გარკვეული მიზნის მისაღწევად განახორციელოს მიზანმიმართული ქცევა.

216. რა არის მოტივაციის აქტივაცია?
გარესტიმულების საშუალებით პიროვნებაზე ზეგავლენის მოხდენა, რაც მას უზიძგებს გარკვეული ქმედებებისაკენ.

217. რა არის მოტორული რეპროდუქცია?
გონებაში წარმოდგენილი ქცევის მოქმედებაში გადატანა.

218. რა არის მრავალრიცხოვანი კანონი?
თორნდაიკის კანონი, რომლის მიხედვით, როდესაც ადამიანი გადააწყდება პრობლემას, რომლის გადასაჭრელადაც მას არა აქვს მზა ქცევა, ის მიმართავს მრავალ განსხვავებულ ქცევას მანამ, სანამ ერთ-ერთ მათგანს საჭირო შედეგი არ მოჰყვება.

219. რა არის მრავალფეროვანი ინტელექტის თეორია?
თეორია, რომლის მიხედვით, ადამიანს 8 სახის განსხვავებული ინტელექტი აქვს: ლინგვისტური, ლოგიკური და მათემატიკური, სივრცითი, მუსიკალური, კინესტეტიკური, ინტერპერსონალური, ინტრაპერსონალური, ნატურალისტური; როგორც წესი, ადამიანს ერთი მათგანი ყველაზე განვითარებული (დომინანტური) აქვს.

220. რა არის მზობის კანონი?
თორნდაიკის კანონი, რომლის მიხედვით, ნებისმიერი რეაქციის დასასრული-არდასასრული ადამიანის მზობაზეა დამოკიდებული.

221. რა არის ნეგატიური დასჯა?
პოზიტიური სტიმულის მოშორება არასასურველი ქცევის შემდეგ.

222. რა არის ნეგატიური განმტკიცება?
განმტკიცება, რომელიც არასასიამოვნო სტიმულის მოცილებას გულისხმობს.

223. რა არის ოპერანტიული განპირობება?
დასწავლის ტიპი, რომლის დროს ქცევის განმეორება, ანუ დასწავლა დამოკიდებულია ქცევის შედეგზე.

224. რა არის პედაგოგიური მიზანი?
გეგმა მოსწავლეების/სტუდენტების მოსალოდნელი მიღწევების შესახებ (გაკვეთილის, კვირის, სემესტრის ან წლის განმავლობაში).

225. რა არის პოზიტიური დასჯა?
დასჯის ტიპი, როდესაც უსიამოვნო სტიმული გამოიყენება არასასურველი ქცევის აღკვეთის მიზნით.

226. რა არის პოზიტიური განმტკიცება?
განმტკიცება, რომელიც დადებითი სტიმულების გაზრდას, დამატებას გულისხმობს.

227. რა არის პროაქტიული შეფერხება?
დავიწყება, როდესაც ძველად ნასწავლი მასალა ახლად ათვისებულის გახსენებას უშლის ხელს.

228. რა არის რეაქცია?
ფსიქიკური ან ორგანული პროცესი, ქცევა, რომელიც სტიმულითაა გამოწვეული.

229. რა არის რეტროაქტიული შეფერხება?
დავიწყება, როდესაც ახლად ნასწავლი მასალა ძველად ათვისებულის გახსენებას უშლის ხელს.

230. რა არის ღია შეკითხვა?
შეკითხვის ტიპი, რომლის პასუხები წინასწარ განსაზღვრული არ არის.

231. რა არის სენსორული მენსიერება?
მენსიერების საცავი, რომელშიც შევრძენბები ინახება: მხედველობითი, სმენითი, ტაქტილური.


232. რა არის შინაგანი მოტივაცია?
მოტივაციის ტიპი, როდესაც ადამიანს თავად სიამოვნებს მოქმედება, გარეგანი ჯილდოს მიღებისა და მიუხედავად.

წერილობრივი ნახატებით შექმნილი იდუმალი სამყარო

შპს-თეთრი წერილობრივი ნახატები თავის თავში მოიცავს ფანტასტიკისა და ილუზიის ელემენტებს, მამობა ამავე დროს არ არის დაკარგული ის რეალისტური შემოქმედება, რომელიც მხატვარმა ჩალო ნახატების შექმნისას. მხატვრის შთაბრძნების წყარო ყოველდღიური ცხოვრებაა, სწორედ ამიტომაც მის ნამუშევრებში ყველაზე ხშირად გვხვდება ის ნივთები თუ მოვლენები, რომლებიც ჩვენ გარშემოა. მხატვარი დიდ ყურადღებას უთმობს უმცირეს დეტალებსაც კი, ყოველი ნახატის შექმნას რამდენიმე დღეს ანდობდა. ამ შრომატევადი პროცესის შედეგად ჩვენ თვალწინ ცოცხლებია მისი შემოქმედების თითოეული ჩანაწერი. რაზე მივიჩნევთ თქვენი თქვენი თვითნახატი მხატვარია.

„შენს ძალაში, შენს მიზნობაში, შენს გვერდით, შენთან, დამის, სტუმრობს, თუ შენთვისვეთი შენთვისვედა ადამიანი, რომელიც დიდი, მოკრძალებული იუმორი, შინაგანი ფრთხილი დისტანცირება, მანერა შემოქმედების შედეგად – მოგონს, გაინტერესებს და აგონს გრძობს, რომ მხატვრად, სულიერ განმდობლად გავსება. მისი ამ თვისებების შეჯამებისას,

აქვიშებულად არაა ამახინებელი, ნამდვილად ამიტომაც ძალზე იშვიათად, უჩველად და არა ძალმომრეულად... და შემდგომ, ასევე უჩველად, წლების განმავლობაში, იმედი, რომ სრულიად არა ხამამდობა მდებარის, გულში ჩამოვდობდა, რომ ხატავს, ჩემად, თავისთვის, რომ ამ ხატვით ცდილობს თავი მოუხაროს, თავისთვის, ნახავს, და აქაც, (როგორც არაპროფესიონალს) სრულიად არ ეშვება ხელი, არამედ მორჩილად მიჰყვება ნაწილს. მისი ნახატების შემოქმედებას გვინდა, რომ ხატვისას გვირამეზო ქაღალდს – პირადზე, საზოგადოება... და ეს გონებისმიერი ძიებაა ამახინებელი თვალწინა პროფესიის ფილოლოგიის, რომელიც გოლო სიტყვას იტყვის მისი ძიებების ასსანა-განმარტებისათვის. მისი უანბარო სულიერი და ფრთხილი, ინტელიგენტური მოუხვედრობა ესოდენ იშვიათია“ – ასე ახასიათებენ მხატვარს ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელს, ფილოლოგიის მაცნებელმა დოქტორს, რაზე მივიჩნევთ, რომელიც დღეს ჩვენი სტუმარია და სულ სხვა ამბობს, რომელიც პუნტილინსტ მხატვარსა და პოეტს გაგაცნობთ.



– ბატონო რეზო, თქვენს ლექსებში გადმოცემულია პირადი განცდები, კერძო შემთხვევები და მოვლენები. კრებულში „წერილები მეგობარს“ კარგად იხატება თქვენი ბიოგრაფია, მორალური კრედიტი, ინტერესები, სურვილები, ასახულია ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება, ნუთნისფერის გაუტანლობა და სამდროვანი, ბავშვობა, მშობლები, სამშობლო... თქვენი განცდები იმდენად გულწრფელია, რომ შეუძლებელია არ გაიზიარო. გვიამბობთ, როგორ გახსენდება ბავშვობის დროინდელი თბილისური უბანი და ეზო?

– დავიბადე თბილისში, ვერაზე, ცხნავლობდით თბილისის 53-ე საჯარო სკოლაში. სწავლასთან ერთად ვხატავდი, დავდიოდი მუსიკაზე გერმანულ პედაგოგთან – ერნა კარლოვნა კრაუსესთან. მაშინ ხატვას არც დიდ დროს ვუთმობდი და არც სერიოზულად აღვიქვამდი. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავაბრუნე თსუ-ს დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე...

...იმ დროს, საოჯახო საქმეები, სხვადასხვა საჭირობითი საქმეები და ინტიმური ურთიერთობებიც კი უბანში ირჩეოდა. რაკი ეს ყველაფერი, იმდროინდელი ცხოვრების წესის შესაბამისად, ყველას თვალწინ, სხვათა დასანახად, ეზოში ან ქუჩაში, ანუ „სცენაზე“ ხდებოდა, მეზობლებიც გაათმაგებულად ეფერებოდნენ ერთმანეთს, თუ მოსაფერებელი იყო, ხოლო მათ შორის „შავი კატა თუ გადაირბენდა“, ასევე თავშეუკავებლად იწყებდნენ ერთმანეთში დავასა და ჩხუბს. პლენონოვზე, სვანეთის უბანში, ელიაზე თუ ნახალოვკაში ზუსტად იგივე ურთიერთობები იყო, რაც ვერაზე. ქართველები, სომხები, აისორები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ებრაელები, ქურთები, გერმანელები, უკრაინელები, რუსები, თითქოს, თბილისში, ერთ ოჯახად საცხოვრებლად, საგანგებოდ შეყრილიყვნენ. ერთი მონოლიტი კი ცხოვრობდა, უბნელი მენაფთხი...

მეზობლები ხან იყოფდნენ ერთმანეთში წყლის საერთო ონკანს, სარეცხის გასაფენ თოკებსა თუ საერთო საპირფარეოებს, ხან ვერა. დიასახლისები დიდხანს ვერ წყვეტდნენ ნაგავსა თუ შემასთან დაკავშირებულ გადაუჭრელ საკითხებს, რაც, ძირითადად, მათი შეტა-

კების მიზეზად იქცეოდა ხოლმე. ბავშვების გაუთავებელი, ხმაურიანი და უფროსებისთვის მომბეზრებელი თამაშებიც ერთ-ერთი მიზეზი იყო უსიამოვნებისა, მით უფრო, თუ მეზობლის შუშა ჩაიმსხვრეოდა ან გასაშრობად გაფენილ მატყლში შევარდნილ კოჭს, ბიჭები, ცხაღია, ჭუჭყიანი ფეხით შეჰყვებოდნენ...

ურთიერთობები ერთდროულად რთულიც იყო და უალერესად მარტივიც, ანუ ზუსტად ისეთი, როგორი ხალხიც ცხოვრობდა გარშემო. ადვილი წარმოსადგენია არა მხოლოდ ცალკეული ოჯახების დონე, ვისი შვილებიც შვილი სატინის ტრუსებიცა და თეთრი მაისურებიც, ანუ „სუფთად ჩაცმულები“, საგანგებოდ შეუღებელი, თვითნაკეთი „სამაკაკები“, „რულზე“ დროშა და ფერადბუმბუკბინაგრებული, სამაისო „პარადებზე“ ამაყად რომ დადიოდნენ, არამედ საერთოდ, იმდროინდელი თბილისის საშუალო ფენის ცხოვრების წესი, როცა ახლად შემოსული ტელევიზორის სანახავად მეზობლებს ერთმანეთთან თავისი სკამები დაჰქონდათ. ზამთარში კი, ზოგი თვითნაკეთი ციგით, „პალაოებზე“ სინები რომ ჰქონდა მიმაგრებული სრილის მოსამატებლად, და ზოგიც ჯგუფურად ხის გრძელ კიბზე შემომჯდარი, „ავოუს“ ყვირილით, ლამის ვერის ბაზრამდე რომ ჩადიოდა სიცილ-ხარხარით...

მოკირწყლული ქვაფენილიდან ბალახამოსულ ქუჩაში, მზის მოსარიდებელი ფერადქოლგებიანი ქალები და ჰეპლის საჭიროანი ბავშვები დადიოდნენ. მზის სხივი ქვეშ შუა განათებული აკაციებიდან ჩამოცვივნილ მთეთრო-მოყვითალო გაბნეულ ყვავილებს ჭრელად ეფინებოდა. მეორე მხარეს რომ გადასულიყავი, რიყის ქვით ნაგები დამრეცი ფერდი უნდა ჩაგვრბინა, ქვითნაგებივე გზა გადაგეჭრა და ასეთივე ფერდი აგველო...

...უალერესად თავისებური ტიპაჟების მიხვრა-მოხვრა, ლაპარაკის მანერა, ლექსიკა, სიხარულის, ნუხილისა და სხვა მრავალი გრძობის გამოხატვა ისეთივე განსაკუთრებული იყო, როგორიც მათი ცხოვრების წესი და აზროვნების დონე;

სწორედ ისინი ქმნიდნენ იმ თბილისის სახეს, რომელიც ასე გამორჩევიდა მას სხვა ქალაქებიდან.

– თქვენი განცდები შესანიშნავადაა წარ-

მოჩენილი თქვენივე შექმნილ სამყაროში, ნახატებში, რამ განაპირობა ხატვის ეს მანერა?

– როდესაც დედა მომავალი სიცოცხლის გასაგრძელებლად ემზადება, ბავშვის გასახარებლად, მას ბუნება სათანადო ფიზიოლოგიური, მორალური თუ ფსიქოლოგიური თვისებებითაც „ამარავებს“. ასევე, მომავალი მამის იმ ენერგეტიკით აღჭურვაც ხდება, რომელიც მან შვილის აღზრდას უნდა შეაღიოს. სამწუხაროდ, ჩემი მეორე შვილისთვის (გვარის გამგრძელებისთვის) „სამომავლო მარაგის განკარგვა“ ღმერთმა აღარ ინება... ვფიქრობ, ეს დაუხარჯველი ენერგია სწორედ ამ წერტილების დასამაში, ნახატებში „განსხვულდა“.

გარკვეული პერიოდი საქართველოს სახელმწიფო კინოკომიტეტში ვმუშაობდი, სწორედ იქ დავიწყე აქტიურად ჩანახატების, ჩანაწერების სახით ხატვა, შემდეგ ეს დეტალები გავერთიანე და ასე დაიბადა რამდენიმე ნახატი.

ჩემი ნამუშევრების გამოფენა, პირველად, 1985 წელს, ლიტერატურის ინსტიტუტში შედგა, ამავე წელს ვმონაწილეობდი ცისფერი გალერეის ჯგუფურ გამოფენაში, სადაც ჩემი ორი ნახატი გამოიფინა, ერთდღიანი გამოფენა კი უნივერსიტეტში მოეწყო. პერსონალური გამოფენა არ მქონია.


– თქვენი ხატვის სტილი „პუნტილიზმი“ – წერტილოვანი მხატვრობა ჰქვია, წერტილებით გადმოცემული სიუჟეტი აღსაქმნელად არც ისე მარტივია. რა არის თქვენი სათქმელი?

– გრაფიკის პლასტიკა ხაზის მოძრაობით დანახულ საგანს გულისხმობს და მისი ესთეტიკაც ხაზის სრულყოფილებას მოიცავს (და არა ფერისას). რაკი ხაზი წერტილთა ჯამია, ხაზით გამოხატული საგანიც მრავალი წერტილის ერთიანობაა, ამდენად, პუნტილისტიური პრინციპით საგანთა გამოსახვა უფრო „პირველადია“, ვიდრე ხაზით მათი წარმოჩენა.

სამყაროში ყველა საგანი ბუნებრივად „ერწყმის“ ერთმანეთს. მათი ტილოზე ან ქალღმერთად გადატანისას ეს პარამონია არ უნდა დაირღვეს. უწყვეტი ხაზით საგნის გამოსახვა არ იძლევა საშუალებას, ხატვისას დავიცვათ ეს პარამონია, რადგანაც ერთი ხაზით მეორის გადაკვეთისას ჩანს ეს ადგილი.

პუნტილისტიური გრაფიკა „ანალიტიკური“ – შეყვანებული, დაფიქრებული, განმსჯელობითი, დიალოგური. იგი საგნის არსში ჩანვდომის, მისი მხედველური ნაწილების გააზრების, ხატვის პროცესში განუწყვეტელი მიზეზ-შედეგობრიობის დადგენის, დასკვნის საშუალებას იძლევა. ხაზის მოძრაობა კი, თავისი მიმსწრაფი ბუნებით, კატეგორიულია, უაპელაციოა (ეს დაახლოებით იმას ჰგავს, როდესაც დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი, მათი ექსპრესიული ხასიათის შესაბამისად, აღმოსავლელისგან განსხვავებით, როგორც წესი, ჯერ ზმანს – მოძრაობას, მისწრაფებას გამოხატავენ და შემდეგადაა ზრუნავენ წინადადების სხვა წევრებზე, ანუ „ერთ ხაზს მეორეთი ჰკვეთენ“). ამ თვალსაზრისით პუნტილისტიური გრაფიკა სცილდება ჩვეულებრივი გრაფიკის ჩარჩოებს და ფერწერის პრინციპებს უახლოვდება, რაც ერთი ფერის მეორესთან მიმართებაში, ძიებით მონაცვლეობაში მდგომარეობს. იგი, გარკვეული თვალსაზრისით, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ფერწერული გრაფიკა“.

მრავალი წერტილის გარკვეული სიმრავლე ხშირად იმ ზუსტ კონტურსა თუ მოძრაობას წარმოშობს, რომელიც მოსაძებნი იყო ნახატში. ამ დროს ხდება უალერესად საინტერე-



სო მოვლენა, ალბათ ის, რასაც „მუხასთან მიასხლებას“ ან ზიარებს უწოდებენ – თვითონ ნახატი იწყებს „კარნახს“ საით უნდა წარიმართოს კომპოზიცია თუ პლასტიკა და განვითარდეს სიუჟეტი. ამ თვალსაზრისით წერტილის მარტო დატოვება არ შეიძლება. ნახატზე ყოველთვის წერტილთა სიმრავლე უნდა იყოს. მარტო დატოვებული წერტილი არაბუნებრივია, რადგანაც წერტილთა წესრიგი განსაკუთრებული მოვლენაა და მათ ლოგიკურ ურთიერთმიმართებას გულისხმობს.

პუნტილისტიური გრაფიკის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი „უსაშლელი პრინციპია“, როდესაც არასასურველი ფორმა არა მისი სრული წაშლით, არამედ უფრო მეტ წერტილთა მეშვეობით იცვლება, რამაც, საბოლოოდ, მის „ამგვარად“ უარყოფასთან – ანტიმუხასთან შეიძლება მიგვიყვანოს. ამას თუ ერთგვარი ხუმრობით შევხვდებით, გამოდის, რომ სხვადასხვა მოვლენის არსი იმთავითვე შეიცავს საპირისპიროს – მის უარყოფელს და მისკენ მიისწრაფის, ანუ „მეორე“ „პირველიდან“ მომდინარეობს, თუმცა არსებობს მათი „თანაარსებობის“ ნეიტრალური მდგომარეობაც, როდესაც არც ერთია და არც მეორე, ასე მაგალითად – დაბადებასა და სიკვდილის შორის „სიცოცხლის მდგომარეობა“, კერძო შემთხვევაში კი – ნახატი, სხვანაირად რომ ვთქვათ – ნახატი სიცოცხლის სინონიმია.

თუ ნახატს „მოვლენად“ განვიხილავთ, წერტილის დასმა დაბადებაა, „არარა“ კი ფურცლის აბსოლუტურად შავი ზედაპირი. სიკვდილისგან – „არარასგან“ განსხვავებით კი, ნახატს ის „უპირატესობა“ აქვს, რომ ამ „ნეიტრალურ“ მდგომარეობაში „მარად“ იარსებებს, ხოლო საპირისპიროს თუ მშენიერება სწორედ ამ პროცესის მიმდინარეობაშია.

– მომავლის გეგმები, ოცნებები, რომლებიც შეიძლება ახდეს...

– თითოეული ნახატის შექმნას 2-3 დღეს ვანდობ, ძირითადად, ლურჯ ან შავ ენ. „პასტას“ ვიყენებ. ნამუშევრებს სახელებს არ ვარქმევ, ამით დამთავალიერებულს ფიქრის, „პირადული ინტერპრეტაციის“ საშუალებას ვაძლევ. დასათაურება ან ნებისმიერი „ტექსტური მინიშნება“ ძალაუწიურად გარკვეულ „კარნახს“ შეიცავს, რაც „ზნოლად“ და არასწორად მიმაჩნია. მინდა, 100-მდე ნამუშევრიდან, გამორჩეულად ღირებული ნახატების ალბომი გამოეცე. სამწუხაროდ, არც პერსონალური გამოფენა მქონია, ამ ორი განზრახვის რეალიზება კი, მოგეხსენებათ, სურვილის გარდა, სხვა კომპონენტებთანაცაა დაკავშირებული.



სამოქალაქო გაკვეთილი

როგორ დავგეგმავთ ინტერაქტიული გაკვეთილი?

ჩემი ნერვილი პრაქტიკული ხასიათისაა. წარმოდგენილი მაქვს თემა, თუ როგორ დავგეგმე ისტორიის გაკვეთილი XI კლასში გარე დაკვირვებისათვის. თემა: „არაბთა ბატონობა საქართველოში“.

გაკვეთილის დაგეგმვა რომ მასწავლებლისაგან თეორიულ ცოდნას, პრაქტიკულ გამოცდილებას და კრეატიულ ხედვას ითხოვს, მგონი, საკმაოდ არავისთვისაა, თუმცა, ერთი თეორია, ანუ თეორიული მზადყოფნა გაკვეთილის დაგეგმვისათვის და მეორე, მისი პრაქტიკაში განხორციელება. ალბათ უდავო ჭეშმარიტებაა, რომ კარგად დაგეგმილი გაკვეთილი, მიზნის განხორციელების და შედეგების გაზომვის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.

სანამ გაკვეთილის დაგეგმვის დეტალებზე ვისაუბრებდი, კიდევ ერთხელ გავისვენოთ გაკვეთილის გეგმის ძირითადი კომპონენტები:

- კლასი
- მოსწავლეთა რაოდენობა
- თემა
- მიზანი
- წინარე ცოდნა
- აქტივობა
- მეთოდი
- რესურსი
- კლასის ორგანიზების ფორმა
- დრო
- გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი

ჩამოთვლილთაგან ყველა კომპონენტი არათუ ძირითადი, არამედ აუცილებელია, თუმცა მასწავლებელს განსაკუთრებული ხედვა, კრეატიული აზროვნება და შემოქმედებითობა, ზოგიერთი კომპონენტის გააზრების დროს, განსაკუთრებით სჭირდება.

გაკვეთილის დაგეგმვის დროს, განსაკუთრებული არჩევანის გაკეთების საშუალება კლასის, მოსწავლეთა რაოდენობის, თემის შერჩევის პროცესში არ გვაქვს. (თუმცა, გარე დაკვირვების დროს, შეგვიძლია ჩვენი სურვილით შევარჩიოთ კლასი და თემა).

გაკვეთილის მიზანი უნდა გამოდინარეობდეს ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგიდან და გათვალისწინებული უნდა იყოს მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. აუცილებელია მიზანი იყოს კონკრეტული, მოსწავლეთა საჭიროებებზე/შესაძლებლობებზე მორგებული და აუცილებლად გაზომვადი. გაკვეთილის მიზანი არც ძალიან მარტივი უნდა იყოს არც ძალიან რთული. ვფიქრობ, გაკვეთილზე დაახლოებით 3 კონკრეტული მიზნის დასახვა და განხორციელება საკმარისი შესაძლებელი და მიზანშეწონილია (გაკვეთილის მიზანი იწერება მომავალ დროში და შედგება ორი მთავარი ნაწილისაგან: მოკლევადიანი, ანუ რასაც მივალწევთ ერთ საგაკვეთილო პროცესში და გრძელვადიანი, რასაც ერთი სემესტრის, ერთი სასწავლო წლის, ერთი საფეხურის ან მთლიანად ერთი დისციპლინის შესწავლის შედეგად უნდა მივაღწიოთ).

მაგალითად, მოსწავლეები გაცნობიან/შეისწავლიან, გააანალიზებენ, გამოიტანენ დასკვნებს, შეადარებენ, პრაქტიკულად განახორციელებენ, იმსჯელებენ და სხვ.

შევეცდები წარმოვადგინო ჩემ მიერ ჩატარებული გაკვეთილის გეგმა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ჩემი გაკვეთილის მიზანი ასეთია: **მოსწავლეები გაცნობიან არაბთა ლაშქრობებს საქართველოში (ჰაბიბ იბნ მასლამა, მურვან ყრუ), იმსჯელებენ ლაშქრობებით გამოწვეულ შედეგებზე და გამოიტანენ შესაბამის დასკვნებს. მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ ინფორმაციების მოპოვების და სამუშაოების ჩატარების უნარ-ჩვევები.**

გაკვეთილის მიზნიდან გამომდინარე, მაქვს 3 მთავარი მიზანი. 1. მოსწავლეები გაცნობენ; 2. მოსწავლეებმა იმსჯელონ; 3. მოსწავლეებმა გამოიტანონ შესაბამისი დასკვნები.

ინტერაქტიული გაკვეთილის მთავარი მახასიათებელი სწორედ ის გახლავთ, რომ გაკვეთილის ცენტრში დგას მოსწავლე, სასწავლო პროცესი მთლიანად მასზეა ორიენტირებული. ამიტომ უმჯობესია თუ გაკვეთილის თემას, მიზანს და მოსალოდნელ შედეგს მოსწავლეებთან ერთად განვსაზღვრავთ (ანუ მასწავლებელი პირდაპირ კი არ ეტყვის მოსწავლეებს თუ რა არის გაკვეთილის თემა და მიზანი, არამედ მოსწავლეებთან ერთობლივი მსჯელობით მივლენ ამ საკითხებამდე).

ამის საილუსტრაციოდ გთავაზობთ ერთ-ერთ მაგალითს ჩემი პრაქტიკიდან:

მასწავლებელი მოსწავლეებს სლავდშოუს დახმარებით აჩვენებს არაბ სარდლებს, მათი ლაშქრობების მარშრუტს, ყურანს და ბიბლიას, მონამეთას მონასტერს, დავით და კონსტანტინეს პორტრეტებს და ა.შ. მოსწავლეები დააკვირდებიან, ამოიცნობენ ისტორიულ პიროვნებებს, გაიხსენებენ მათთვის ნაცნობ მოვლენებს და მასწავლებლის დახმარებით გამოიტანენ დასკვნას თუ რა შეიძლება იყოს იმ გაკვეთილის თემა. მოსწავლეების მიერ გამოთქმული ვარაუდების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს გაკვეთილის თემას და ისევ მიმართავს მათ: თუ ჩვენი გაკვეთილის თემა არის „არაბთა ბატონობა საქართველოში“, მაშინ რა შეიძლება იყოს ჩვენი გაკვეთილის მიზანი. მოსწავლეების მიერ გამოთქმული ვარაუდების შეჯამების შემდეგ მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს გაკვეთილის მიზანს. ამის შემდეგ ისევ მიმართავს მათ – თემის და მიზნის გაცნობის შემდეგ, რა უნდა გააკეთონ საგაკვეთილო პროცესის დროს, რათა მიზანი მიღწეულ იქნეს. მოსწავლეთა ვარაუდების მოსმენის შემდეგ, მასწავლებელი მოსწავლეებს მოკლედ ეტყვის თუ რა აქტივობები აქვს დაგეგმილი მიზნის მისაღწევად.

რატომ არის მნიშვნელოვანი გაკვეთილის თემის და მიზნის ასე გაცნობა მოსწავლეებისათვის? ვფიქრობ, ასეთი მიდგომის შედეგად მოსწავლე სასწავლო პროცესის თანამონაწილე ხდება, გარკვეულწილად, იგი პასუხისმგებლობას იღებს სწავლა-სწავლების პროცესზე, სწავლება თანამშრომლობაზე აგებული, მოსწავლის მიერ გამოთქმული განსხვავებული აზრი აღიარებული და მიღებულია მასწავლებლის მიერ, ხაზგასმულია მოსწავლე, როგორც ინდივიდი. მიზნის განსაზღვრის შემდეგ უნდა განვსაზღვროთ ის აქტივობები და მეთოდები, რაც საშუალებას მისცემს განვხორციელოთ მიზანი.

შეგახსენებთ, რომ აქტივობა არის ნებისმიერი ქმედება, რასაც გაკვეთილზე ვაკეთებთ მასწავლებლები ან ჩვენი მოსწავლეები, ხოლო მეთოდი – როგორ განვხორციელებთ ამა თუ იმ აქტივობას ჩვენ და ჩვენი მოსწავლეები. დაგეგმილი აქტივობები და მეთოდები უნდა გამოდინარეობდეს და შეესაბამებოდეს გაკვეთილის მიზანს.

როგორ გაცნობიან მოსწავლეები ამ ინფორმაციას? მასწავლებელი გაცნობს თუ თვითონ მოიპოვებენ ინფორმაციას? რა ხერხს მიმართავს/დაგეგმავს მასწავლებელი?(ანუ პირდაპირ სწავლებას მივმართავ თუ არაპირდაპირს).

როგორ იმსჯელებენ მოსწავლეები, რა მეთოდს შესთავაზებს მასწავლებელი მათ, რომ მიზნის მიღწევა და აქედან გამომდინარე, შედეგზე ვასვლა მოხერხდეს.

მოსწავლეები გამოიტანენ შესაბამის დასკვნებს – რა გზით, როგორ შეძლებენ დასკვნების გამოტანას?

მას შემდეგ, რაც ჩვენ განვსაზღვრავთ გაკვეთილის ძირითად აქტივობებს და მეთოდებს, დავფიქრდეთ, მოსწავლეთა ორგანიზების რომელი ფორმა უმჯობესი (მთელი კლასი; ჯგუფური მუშაობა, წყვილები თუ ინდივიდუალური) ამ კონკრეტული აქტივობის წარმატებით განახორციელებლად და რა დრო დაგვჭირდება თითოეული აქტივობის შესასრულებლად.

მნიშვნელოვანია, თითოეული აქტივობის დაგეგმვის დროს განსაკუთრებული ყურადღება გავამახვილოთ სასწავლო რესურსებზე, რაც დაგვეხმარება, ერთი მხრივ, მიზნის განხორციელებაში და, მეორე მხრივ, დადებითად იმოქმედებს მოსწავლეთა მოტივაციაზე. ერთი, რაც მინდა ვურჩიო მასწავლებლებს, ეს გახლავთ ისტ-ის გამოყენება სასწავლო პროცესში, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან იგი ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, გარკვეული ტიპის უნარების განვითარებას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ისტ-ის გამოყენების დროს, გარკვეულწილად, დამოკიდებული ვართ გარემო პირობებზე და მზად უნდა ვიყოთ ნებისმიერი გამოწვევისთვის (მაგ. შუქის უეცარი გათიშვა საგაკვეთილო პროცესის დროს და ა.შ.)

გაკვეთილის დაგეგმვისას, ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა გავამახვილოთ შეფასების ინსტრუმენტებზე. მოსწავლემ წინასწარ უნდა იცოდეს თუ რა კრიტერიუმებით შეფასდება იგი საგაკვეთილო პროცესის დროს.

განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შექმნაში უმჯობესია თუ მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეები, რადგან ნდობა შეფასების სისტემის მიმართ უფრო მაღალი იქნება. როცა მოსწავლეს განმსაზღვრელი შეფასებით შევაფასებთ, მას უნდა ვუთხრათ, კონკრეტულად რაში დაიმსახურა შეფასება და რა უნდა გააუმჯობესოს, რათა მის მიერ მიღწეული შედეგი უმდომივად განიცდიდეს პროგრესს. იმავე პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ განმავითარებელი შეფასების გამოყენების დროს. ჩემი რეკომენდაციაა, რომ გაკვეთილის მსვლელობისას, მინიმუმ, სამჯერ მაინც მივცეთ მოსწავლეს/მოსწავლეებს განმავითარებელი შეფასება, ანუ ყოველი აქტივობის დასრულების შემდეგ შევაჯამოთ აქტივობა, გამოვყოთ რა ვისწავლეთ, რა გავიგეთ, სად შეიძლება მიღებული ცოდნის გამოყენება და მივცეთ განმავითარებელი შეფასება (აუცილებელია, მოსწავლემ დაინახოს და გაიაზროს რაში სჭირდება მას ესა თუ ის ცოდნა, სად შეუძლია მისი ტრანსფერი და ა.შ.).

მას შემდეგ, რაც გაკვეთილს დაგეგმავთ, საჭიროა განვსაზღვროთ, როგორ მივიტანთ ამას მოსწავლეებამდე, ანუ როგორი იქნება ჩვენი ქმედებები პირველი ხუთი წუთის განმავლობაში.

განათლების მკვლევრები ათასნაირ მეთოდს გვთავაზობენ, ე.წ. „ყინულის გაღობისათვის“, რომელთა საშუალო ხანგრძლივობა 1-2 წუთია. ზოგ ჩემს კოლეგას ასეთი აქტივობები დროის ფუჭ ხარჯვად მიაჩნია, ზოგიერთს პირიქით – მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ერთ-ერთ საუკეთესო ხერხად. მე შემოგთავაზებთ ჩემეულ გადაწყვეტას, თუ როგორ შეიძლება მოსწავლეები პოზიტიურად განაწყობოთ საგაკვეთილო პროცესის მიმართ და გაკვეთილის მსვლელობის დროს მართო მათი ემოციები.

თავდაპირველად მოსწავლეებს მივმართავ არავერბალურად, ჟესტების ენით, მიმიკებით გამოვხატოთ ჩვენი დამოკიდებულება საგაკვეთილო პროცესის მიმართ.



მოსწავლეების მიერ გამოხატული ემოციები მაძლევს საშუალებას, რომ დავანახო მათ ჩემი პოზიტიური დამოკიდებულება თითოეული მათგანის მიმართ და შემდგომ ეს ჟესტი საგაკვეთილო პროცესში მათი მაქსიმალური ჩართვისთვის გამოვიყენო.

გაკვეთილის გეგმა

მასწავლებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი: კახაბერ ჩაკვეტაძე

საბანი: ისტორია

სწავლების საფეხური/კლასი: საშუალო. მე-11 კლასი

მოსწავლეთა რაოდენობა: 15

გაკვეთილის თემა: არაბთა ბატონობა საქართველოში

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები გაცნობიან არაბთა ლაშქრობებს საქართველოში (ჰაბიბ იბნ მასლამა, მურვან ყრუ) იმსჯელებენ ლაშქრობებით გამოწვეულ შედეგებზე და გამოიტანენ შესაბამის დასკვნებს. მოსწავლეებს გამოუმუშავდებათ ინფორმაციის მოპოვების და სამუშაოს ჩატარების უნარ-ჩვევები.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსი	დრო (წთ)
1	საორგანიზაციო საკითხები.	კი/პა	მთელი კლასი	საკლასო ფურცალი; კალამი.	1
2	მოსწავლეთა მოტივაციისა და პოზიტიური პოზიტიური საგაკვეთილო განწყობის შესაქმნელად მასწავლებელი მიმართავს მოსწავლეებს მიმიკებით, ჟესტიკულაციით, არავერბალურად გამოხატონ თავიანთი დამოკიდებულება საგაკვეთილო პროცესის მიმართ. მასწავლებელი მოსწავლეებს გაცნობს შეფასების კრიტერიუმებს (პრეზენტაცია; დისკუსია; თვითშეფასების კითხვარი მოსწავლეებისათვის).	„ყინულის გაღობა“ არავერბალური კომუნიკაცია; ინტერაქტიული მინი-ლექცია	მთელი კლასი	ფლიფჩარტი; მარკერი; ამოებჭდილი შეფასების/თვითშეფასების რუბრიკები.	2
3	წინარე ცოდნის გასააქტიურებლად მასწავლებელი მოსწავლეებს სლავდშოუს დახმარებით აჩვენებს არაბ სარდლებს, მათი ლაშქრობების მარშრუტს, ყურანს და ბიბლიას, მონამეთას მონასტერს, დავით და კონსტანტინეს პორტრეტს, და ა.შ. მოსწავლეები დააკვირდებიან, ამოიცნობენ ისტორიულ პიროვნებებს, გაიხსენებენ მათთვის ნაცნობ მოვლენებს და მასწავლებლის დახმარებით გამოიტანენ დასკვნას თუ რას შეიძლება შეეხებოდეს მათი დღევანდელი გაკვეთილის თემა და რა შეიძლება იყოს გაკვეთილის მიზანი. მოსწავლეების მიერ გამოთქმული ვარაუდების შემდეგ მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს გაკვეთილის თემას და გაკვეთილის მიზანს.	ვარაუდების გამოთქმა, წინასწარმეტყველების ხე	მთელი კლასი	კომპიუტერი; პროექტორი; ფლიფჩარტი; მარკერები.	7

სამოღვაწეო გეგმითი

Table with 5 columns: No., Description, Type, Class, and Score. Contains 9 rows of curriculum details.

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგი: ისტ. XI.5. მოსწავლეს შეუძლია საქართველოსა და მსოფლიოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხების კვლევა...

კახაბერი ჩაქვიტაძე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ქვიტირის საჯარო სკოლის ისტორიის წამყვანი მასწავლებელი გამოყენებული ლიტერატურა: 1. http://ncp.ge/ge/curriculum?subject=38&subchild=199

სასკოლო აქტივობა

„ქილევას დაიზრდებიან“

მისამართი: დიდი დილომი – თბილისის გა- ნაპირა უბანი, პირველი ქრისტიანი მეფის – მი- რიანის სახელობის ქუჩა. თვალში მოგხვდებათ ახლად აშენებული, ულამაზესი შენობა – კერ- ძო სკოლა „ინტელექტი“, სადაც 2017 წლის 15 სექტემბერს დაიბრუნდა პირველად ზარი. სკოლის დირექტორი და დამფუძნებელი, ქალბატონი თამარ გოგსაძე ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ სკოლა იყოს სანი- მუშო, ალტურვილი თანამედროვე ინფრასტ- რუქტურითა და სასკოლო ტექნიკური სა- შუალებებით. სკოლის ეზოში, შესვლისთანავე, თვალში მოგხვდებათ ვარდ-ყვავილებით გაშენებული გარემო, გემოვნებით გაფორმებული ფოიე და საკლასო ოთახები, ახალი ტექნიკურ-მატე- რიალური ბაზითა და თანამედროვე დონეზე აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრით, კაბი- ნეტები, დარბაზები, კეთილმოწყობილი სასა- დილო, დაცვის ელექტრონული სისტემები... ახლახან, სკოლის სააქტო დარბაზში, ჩემი და ქართული ენისა და ლიტერატურის მას- წავლელის, ანა მისურაძის ორგანიზებით ხალხური პოეზიის საღამო ჩატარდა – „წუ- თისოფელი ასეა“ (ქორეოგრაფი – მზია ნიკ- ლაური). „ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს სამშობ- ლო, თავის ერია“... „მზე შინა და მზე გარე- თა“, „იარებოდა დედაი“ – ისმოდა დარბაზში, ლექსის სიმღერები და ქართული ხალხური ცეკვები ცვლიდა. ახალგაზრდები ბუხრის ირგვლივ შეკრე- ბილან, პაპა შვილიშვილს უამბობს თავის ცხოვრებას დაბადებიდან სიბერემდე, ყვე- ლაზე მეტად დედის ნამღერი „იავნანა“ და „შელოცვა“ დაამახსოვრდა, კაფია-შაირობე- ბი. და, აი, უკვე დავაჟაკცდა, დაუძახეს სა- მშობლოს დასაცავად: „ხმაღლა თქვა, პირი დამუხანგდა, ჯაბანმა ვინმე ჩამიგო“. გაისმა



პროექტი „ერთი ერთში“

ცაგერის საჯარო სკოლის დირექტორი დავით ცვარიანი თავმდაბალი, მორიდებული, მაგრამ საქმისთვის თავდადე- ბული, პედაგოგთა ინიციატივების მხარდამჭერი და მომავალ თაობაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანია. სწორედ მას გა- უშვილა პედაგოგმა იზა ხეცურიანმა პროექტის „ერთი ერთ- ში“ იდეა და თანადგომა სთხოვა. 17 მაისს, ცაგერში, ნამდვილი ვარსკვლავთცვენა იყო! მოს- წავლელმა, არაჩვეულებრივად მორგებული როლებით, საო- ცარი გარდასახვით და კარგი შესრულებით დამსწრე საზოგა- დოება მეოცე საუკუნეში დააბრუნეს და საყვარელ მომღერ- ლებს შეახვედრეს: ლიზი კოპალიანი – უიტნი ჰიუსტონი, ედუ გოიტი – ელტონ ჯონი, ლუკა ლურჭულაძე – ტოტო კუტუ- ნიო, საბა სალიანი – თემურ თათარაშვილი (კვაზიმოდოს არი- ით), შოთაიკო ხეცურიანი – ჯო დასენი, მარიამ ფრუიძე – ნატა- შა კარალიოვა, ტასო ლურჭულაძე – ფილიპ კირკოროვი, ცი- ცი ნემსვერიძე და ლუკა სალიანი – „მოდერნ თოქინგი“, ლი- ზი სალიანი – რაფაელა კარა, დარი კალანდაძე – გლორია გეი- ნორი, თომა ლარცულიანი – რობერტინო ლორეტი, ანა ჯამ- ბურიძე – ანა ვისი. პროექტის მიზანი მოსწავლეებში შემოქმე- დებითი უნარების განვითარება და მათი გემოვნებიანი მუსი-



კით დაინტერესება იყო. შედეგმა აჩვენა, რომ მასწავლებელმა ეს შეძლო. „ვარსკვლავებს“ აფასებდა კომპეტენტური ჟიური: მარინა სვანიძე – ქალთა გენდერული თანასწორობის ცენტრის ხელმ- ძღვანელი, ნათია მიქაძე – მომღერალი, პედაგოგი, გულნაზი გოლუეთიანი – ნიჭიერის ფინალისტი, მაკა დავითიანი – მუ- სიკალური სკოლის პედაგოგი, პოეტი და კომპოზიტორი ნუკ- რი კარკაძე და ცაგერის მერის მოადგილე დავით გვიშაიანი. ღონისძიებას ესწრებოდნენ ცაგერის საგანმანათლებლო




რესურსცენტრის ხელმძღვანელი ირაკლი სილაგაძე, მერიის წარმომადგენლები, სკოლის პედაგოგები, მშობლები და მოს- წავლეები; ახალგაზრდა პოეტი და კომპოზიტორი ნუკრი კარ- კაძე, ახალგაზრდა შემოქმედი დინა მირცხულავა. საფასვე- ლოდ უნდა აღინიშნოს ცაგერის კულტურის ცენტრის დირექ- ტორის, დარეჯან სალიანი უანგარო მხარდაჭერა – რომ არა შესაბამის ტექნიკური აღჭურვილობა ღონისძიება ასეთი შთამბეჭდავი ვერ იქნებოდა. ლალი მარბიანი

ვექტორების გამოყენება ზოგიერთი ტრიგონომეტრიული ფორმულის დამტკიცებაში

იმ მიზნით, რომ მოსწავლეებს ვექტორული საკითხების უფრო ღრმად შესწავლის სურვილი გაუჩნდეთ, შესაძლებლობის შემთხვევაში, ვცდილობ, გეომეტრიული ამოცანები ვექტორების გამოყენებით, შემდეგ - ვექტორების გამოყენების გარეშე და ამით დავანახო, ზოგიერთი გეომეტრიული ამოცანის ამოხსნისას ვექტორების გამოყენების უპირატესობა. ასევე, ვიყენებ ვექტორებს ზოგიერთი ალგებრული საკითხის განხილვისას. წინამდებარე სტატიაში განხილულია ვექტორების გამოყენება ზოგიერთი ტრიგონომეტრიული ფორმულის დამტკიცებაში.

წინასწარ გავაკეთოთ გარკვეული შენიშვნა α კუთხის ტრიგონომეტრიული ფუნქციის შემოღების შესახებ:



სიბრტყეში შემოღებულია მართკუთხა საკოორდინატო სისტემა და ამ სისტემის მიმართ მოცემულია ერთეულრადიუსიანი წრეწირი, ცენტრით სისტემის სათავეში. ox ღერძის დადებით მიმართულებას წრეწირი კვეთს წერტილში $P_0(1; 0)$. P_α წერტილი სისტემის სათავეს გარშემო α კუთხით მობრუნებული P წერტილის ახალი მდებარეობა წრეწირზე. p_α წერტილის აბცისას x_α -ს ეწოდება $\cos \alpha$, ე.ი. $\cos \alpha = x_\alpha$, p_α წერტილის ორდინატს y_α -ს ეწოდება $\sin \alpha$, ე.ი. $\sin \alpha = y_\alpha$. ამრიგად, P_α წერტილის კოორდინატებია $(\cos \alpha; \sin \alpha)$. გავიხსენოთ, რომ საკოორდინატო სისტემის მიმართ მოცემული ნებისმიერი $A(x; y)$ წერტილის კოორდინატები მიღებულია სისტემის სათავეს A წერტილთან შემაერთებული \vec{OA} ვექტორის კოორდინატებად. ე.ი. \vec{OA} ვექტორის კოორდინატებია $(x; y)$. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ $\vec{OP_\alpha}$ ვექტორის კოორდინატები იქნება $(\cos \alpha; \sin \alpha)$.

ამრიგად, გვაქვს $\vec{OP_\alpha}(\cos \alpha; \sin \alpha)$, გარდა ამისა a და b ვექტორების სკალარული ნამრავლი გამოითვლება ტოლობით:


$$\vec{a} \cdot \vec{b} = |\vec{a}| \cdot |\vec{b}| \cos \varphi, \text{ სადა } \varphi = \angle(\vec{a}; \vec{b}).$$

კოორდინატებით მოცემული $\vec{a}(x_1; y_1)$ და $\vec{b}(x_2; y_2)$ ვექტორების სკალარული ნამრავლი გამოითვლება ტოლობით: $\vec{a} \cdot \vec{b} = x_1x_2 + y_1y_2$ $\vec{a} \perp \vec{b}$ მაშინ $\vec{a} \cdot \vec{b} = 0$


ე.ი. $x_1x_2 + y_1y_2 = 0$

ზემოთ გაკეთებული შენიშვნა გათვალისწინებულია ქვემოთ მოცემული თანაფარდობების დამტკიცებისას.


1) $\cos(90^\circ - \alpha) = \sin \alpha;$




2) $\sin(90^\circ + \alpha) = \cos \alpha$




3) $\sin(90^\circ - \alpha) = \cos \alpha$



4) $\cos(90^\circ + \alpha) = -\sin \alpha$



5) $\cos(\alpha + \beta) = \cos \alpha \cos \beta - \sin \alpha \sin \beta$




ამრიგად: $\cos(\alpha + \beta) = \cos \alpha \cos \beta - \sin \alpha \sin \beta$

აქ გამოყენებულია ტოლობები $\sin(90^\circ - \alpha) = \cos \alpha;$ $\sin(90^\circ + \beta) = \cos \beta;$

$\cos(90^\circ - \alpha) = \sin \alpha;$ $\cos(90^\circ + \beta) = -\sin \beta$

6) $\sin(\alpha + \beta) = \sin \alpha \cos \beta + \cos \alpha \sin \beta$



თუ გავითვალისწინებთ, რომ $\cos(90^\circ - \varphi) = \sin \varphi$, მაშინ მივიღებთ

$\cos(90^\circ - (\alpha + \beta)) = \sin(\alpha + \beta)$ ამის გათვალისწინებით ვწერთ


$\cos(90^\circ - (\alpha + \beta)) = \sin(\alpha + \beta) = \vec{OA} \cdot \vec{OB}$ გამოდის, რომ $\sin(\alpha + \beta) = \vec{OA} \cdot \vec{OB} \dots (1)$

$\vec{OA} \cdot \vec{OB} = \cos(90^\circ - \beta) \cos \alpha + \sin(90^\circ - \beta) \sin \alpha = \sin \beta \cos \alpha + \cos \beta \sin \alpha$


აქ გათვალისწინებულია, რომ $\cos(90^\circ - \beta) = \sin \beta$ და $\sin(90^\circ - \alpha) = \cos \alpha$

ამრიგად, $\sin(\alpha + \beta) = \sin \alpha \cos \beta + \cos \alpha \sin \beta$

7) $\sin(\alpha - \beta) = \sin \alpha \cos \beta - \cos \alpha \sin \beta$



კვადრატის დასახელებად



$\cos(90^\circ + (\alpha - \beta)) = -\sin(\alpha - \beta) \Rightarrow \sin(\alpha - \beta) = -\cos(90^\circ + (\alpha - \beta)) \quad (2)$

(1) ტოლობიდან მივიღებთ: $\cos(90^\circ + \alpha - \beta) = \vec{OA} \cdot \vec{OB} =$


$= \cos(90^\circ + \alpha) \cos \beta + \sin(90^\circ + \alpha) \sin \beta = -\sin \alpha \cos \beta + \cos \alpha \sin \beta \Rightarrow$

თუ ამას გავითვალისწინებთ, (2)-ში მივიღებთ: $\sin(\alpha - \beta) = \sin \alpha \cos \beta - \cos \alpha \sin \beta$


აქ გათვალისწინებულია, რომ $\cos(90^\circ + \alpha) = -\sin \alpha$ და $\sin(90^\circ + \alpha) = \cos \alpha$

ამრიგად $\sin(\alpha - \beta) = \sin \alpha \cos \beta - \cos \alpha \sin \beta$

8) $\cos(\alpha - \beta) = \cos \alpha \cos \beta + \sin \alpha \sin \beta$




9) $\sin 2\alpha = 2 \sin \alpha \cos \alpha \quad |OA| = |OB| = 1;$



აქ გათვალისწინებულია, რომ $\cos(90^\circ - \alpha) = \sin \alpha; \sin(90^\circ - \alpha) = \cos \alpha$.

ამრიგად $\sin 2\alpha = 2 \sin \alpha \cos \alpha$

10) $\cos 2\alpha = \cos^2 \alpha - \sin^2 \alpha \quad |OA| = |OB| = 1; \angle AOF = \alpha;$



გათვალისწინებულია, რომ $\cos(90^\circ + \alpha) = -\sin \alpha$ და $\sin(90^\circ + \alpha) = \cos \alpha$

ამრიგად: $\cos 2\alpha = \cos^2 \alpha - \sin^2 \alpha$.

გურამ ბელქანი

ზუგდიდის №10 საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

ინფორმაცია

უმაღლესი განათლების მინისტრიალი

ლალი ჯელაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, მიხეილ ჩხენკელმა, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების განათლების მინისტრებთან, უნივერსიტეტების რექტორებთან და უმაღლესი განათლების წარმომადგენლებთან ერთად, პარიზში გამართულ უმაღლესი განათლების მინისტრიალში მიიღო მონაწილეობა. სიტყვით გამოსვლისას მინისტრმა იმ პოზიტიურ შედეგებზე ისაუბრა, რაც ბოლო წლების პროცესში უმაღლესი განათლების სისტემის ინტეგრაციამ მოუტანა ქვეყანას და რომლის შედეგადაც, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით, სტანდარტების ჩამოყალიბება და სტრუქტურული რეფორმების ჩატარება გახდა შესაძლებელი. მან დიდი მადლობა გადაუხადა ბოლო წლების სამეთვალყურეო ჯგუფს, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში განუხლები სამუშაოსთვის.

„ამ საკითხების ხაზგასმით ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ის გვიჩვენებს მკაფიო მიმართულებებს ჩვენი უმაღლესი მომავლის შესაქმნელად, - განაცხადა მინისტრმა, - აღსანიშნავია, რომ ყველა სახის საფუძვალზე მიმართულებით უკვე დაწყებულია, თუმცა, ეს იქნება დამატებითი სტიმული მის განსამტკიცებლად. ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის წევრი საქართველო 2005 წელს, ბერგენის კონფერენციაზე გახდა, სორბონის კონფერენციისა და დეკლარაციის მიღებიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ბოლო წლების პროცესში საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ინტეგრაციის შედეგად მოსალოდნელი სარგებელი, ამ ეტაპზე, ძალზე პოზიტიურია. ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ რიგი სტრუქტურული ცვლილებები გაატარა - სამი ციკლის სისტემა, ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩო, დიპლომის დანართი, შეიქმნა სტანდარტები და სახელმძღვანელოები, ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფისათვის და დაინერგა ხარისხის ევროპული მიდგომები. ბოლო წლების პროცესში მონაწილეობამდე, სისტემური რეფორმების ჩატარებამ ქართული უმაღლესი განათლება უფრო მოქნილი და სტრუქტურულად მორგებული გახდა. ეს ყველაფერი დაგვიხმარა, აქცენტი ხარისხზე გავაძლიერებინა, რითაც დღეს სტუდენტები, პარტნიორები და საზოგადოება სარგებლობს.

2015-2017 წლები განსაკუთრებულად აქტიური და ნაყოფიერი იყო ხარისხის უზრუნველყოფის მხრივ ჩატარებული

რეფორმებით. ევროპულ ექსპერტთა საბჭოს მხარდაჭერა და რჩევები საშუალებას გვაძლევს, გავაუმჯობესოთ ბოლო წლების სამეთვალყურეო ჯგუფის მიერ წაყენებული მოთხოვნების სრული კომპლექტაცია ისევე, როგორც მოვახდინოთ საჭირო ცვლილებები ეროვნულ კანონმდებლობაში.“

საერთაშორისო ექსპერტების, დამსაქმებლებისა და სტუდენტების გარე შეფასების პროცესში ჩართულობა დადებითად აისახა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაზე. ცვლილებებმა საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს საშუალება მისცა, ოფიციალურად მიემართა ევროპის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ასოციაციისთვის სრულყოფილიანი წევრობის თაობაზე. „მაგრამ არსებობს სფეროები, რომელთა გაუმჯობესება აუცილებელია - განაცხადა მიხეილ ჩხენკელმა, - სწავლისა და სწავლების ხარისხისა და მნიშვნელობის უზრუნველყოფა ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მთავარი ამოცანაა. წარმატებული სწავლებისა და სწავლის საუკეთესო პირობების დამკვიდრება და მათი უმაღლესი განათლებაში მხარდაჭერა კვლავაც უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა. ვაცნობებთ, რომ ეროვნულ დონეზე სწავლების გასაუმჯობესებლად აუცილებელია შესაბამისი ზომების გაძლიერება და მოდერნიზაცია. ამ თვალსაზრისით, დასაქმება მთავრობის მთავარ პრიორიტეტს შორისა და ვიმედოვნებ, რომ უმაღლესი განათლება ამ საკითხების მოგვარებაში ნამყვან როლს ითამაშებს. შესაბამისად, პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში დასაქმებულთა ეფექტური ჩართულობა, კურსდამთავრებულთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის სახელმწიფო დონეზე გაუმჯობესება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამჟამად ეროვნული საკვალიფიკაციო სისტემის გადახედვის პროცესში ვართ, ამ კუთხით გადახედვის პროცესშია ეროვნული კანონმდებლობა და მიმდინარეობს საკითხების განხილვა საქართველოს პარლამენტთან. ევროპის ტრენინგ-ფონდთან თანამშრომლობით და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მხარდაჭერით, დავენერგავთ განახლებულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს, რომელიც შესაბამისობაში იქნება ევროპის საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. კომპლექსური მიდგომით სრულად აღმოიფხვრება სისტემური ხარვეზები და დაიწყება პროცესის ბაზარზე არსებული პრობლემების გადაწყვეტა.“



მიხეილ ჩხენკელმა, მინისტრიალზე გამოსვლისას, ხაზი გაუსვა ასოციაციის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, რაც საქართველოს განათლების, კვალიფიკაციის ამაღლებას, ახალგაზრდული სისტემების საერთო მოდერნიზაციას და ევროკავშირთან მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობს.

„ჩვენ მზად ვართ შევქმნათ განვითარების პოლიტიკა, რომელიც პედაგოგიურ ინოვაციებს მისცემს სტიმულს, გაზრდის სტუდენტებისა და პერსონალის ციფრულ კომპეტენციას და წახალისებს საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების მოდერნიზებას, მათ შორის, ციფრულ და სხვა სახის მიდგომებს, ონლაინ და შერეულ, ნახევარგანაკვეთიან და მოდულურ შესაძლებლობებს, ყველა რეფორმა საქართველოს მთავრობის მიერაა მხარდაჭერილი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთიანი სტრატეგია, 2017-2021 წლებისვის, საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცდა ისევე, როგორც ჩვენი სამინისტროს ორწლიანი სამოქმედო გეგმა. ეს დოკუმენტები, რომლებთან ერთადაც დღეს ახალი მიზნები განვიხილეთ, გააუმჯობესებს სამომავლო შედეგებს.“

მინისტრმა კიდევ ერთხელ გამოხატა მადლიერება ბოლო წლების სამეთვალყურეო ჯგუფების მიერ განუხლები სამუშაოსთვის და ხაზი გაუსვა იმ სარგებელს, რაც საქართველომ ამ სამუშაო ჯგუფში მონაწილეობით მიიღო: „ამ გარემოებამ მიმდინარე რეფორმების შეფასების მხრივ. ძალიან მოხარული ვიქნები, თუ მხარს დაგვიჭერთ, რათა საქართველო კვლავ ჩაერთოს ბოლო წლების სამეთვალყურეო ჯგუფებში. 2014 წლის ივნისში გაფორმებული ასოციაციის ხელშეკრულება ევროკავშირთან არის როგორც საქართველოს სურვილი, ისე ვალდებულება. ევროკავშირის ასოციაციის განახლებული ხელშეკრულება, 2017-2020 წლებისთვის, ქმნის ახალ პრიორიტეტებს ერთობლივი მუშაობისთვის და გამოკვეთს თანამშრომლობის აუცილებლობას შემდგომი მოდერნიზაციისა და რეფორმისათვის.“

მინისტრიალზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა გამოხატა იმ ადამიანური ფაქტორის მნიშვნელობაზე საუბრით დაასრულა, რომლითაც მთელი მსოფლიო დიდ სარგებელს ნახულობს: „ბოლო წლების სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის საშუალებას იძლევა, რაც აახლოებს ადამიანებს და არაჩვეულებრივი გზაა, აკადემიური სივრცე გამოვიყენოთ, როგორც სხვადასხვა ერებისა და ქვეყნების დამაკავშირებელი ხიდი. ჩვენ ვაფასებთ ამ ფაქტორს.“ - აღნიშნა მიხეილ ჩხენკელმა.



